მოიღე ანთიმონია და დანაყე წმინდად და თიხის თეფრზე დაყარე. შე-

მოღვი ცეცხლზე და ურთი დაუცხრომელად, რათა არა შეკორბდეს. და ოდეს კვამლი სრულიად არღარა პკონდეს, მაშინ შთაყარე ბუთაში და გააღწე ბლი-
ერის ცეცხლით. იგი შეიქმნების მსგავსი გვარჯილისა, თეფრი შუშად შე-
ცვლილი. გარდაასხი თეფშზე, შემდგომად გაააცივე და ღანაყე. ესე შიგნი-
ღამ არა იხმარების. თავით თვისით. ამით შეამხადებენ თართარი ემეტკოხს
და ღვინოსა ანთიმონისასა ანუ რურადლისასა სარწყევად.

ორჯელ შემხადებული მარლიი სასაქმებელი და
ანუ გვარჯილა არჯასპისა, (არქანუმ ლუბლიკატუმ)
§123

მოიღე დაღეკილი თეხაფის გამონახადი მიწა. იგი აურიე წყალში და
დადგი ოჯღათხ საათს. გასწურე და დადგი. რომელ დაიღეკოს ძირს კვადად
ცულმადი მიწაი და მეტალი, და წმინდა წყალი გარდაასხი სხვას ჳურჭელში.
და აღუღე ვიდრემლის გვარჯილის მსგავსი მარლიი გამორღეს და შემდგომად
გარდაასხი. და დადგი ცივს ადგილს, ვიდრემლის შეიყინოს სრულიად. შემ-
დგომად ღანაყე და იხმარე. ამას იხმარებენ სიცხისათვის, შეხბუღებისათ-
ვის და ტყირპისა. იხმარება ეს თხუთმეტის გრანიღამ ოჯღა ათამლის.

მარლიი ნანღვილი ღვინისა ღიმონის მარლიად
წოდებული (საღის ესენციადი თართარი) §124

მოიღე ორი ფუნტი ღვინის მარლიი, ღანაყე და ჩაყარე მოკალულს ქვაბ-
ში ანუ ჳურჭელში. და დაასხი ზედ ათი ფუნტი წყალი. გააღწე და ხარზე
ერთს საათს და შიგ მიუმაკე საღაფი ღამწვარი ნაკრად და ანუ ნიჟარაი
ცხრა უნტი. და ოდეს იხარშოს საკმაოდ, გარღმოსდგი და დასდგი ნახევარ
საათს. იგი დაიღეკს თეფრს მტვერს. გარდაასხი წყალი იგი სხვასა შინა
ჳურჭელსა და დაღეკილი იგი მტვერი მიწემლის რეცხე, ვიდრემ დაჰკარგოს
გემოი მარლიისა. შემდგომად მოიღე სხვაი ჳურჭელი, ზაასხი მას შინა
გინა ათი ფუნტი წყალი. და ამ წყალში აურიე წვეთად და წვეთად არჯასპის
სიმყავე, რათა გამყავდეს საკმაოდ. და შემდგომად გარეცხილი მარლიი იგი
და საღაფი შთაყარე ამა წყალსა შინა და ხარზე ნეღად ოჯღათხ საათს.

მოიღე და დადგი, რათა მარილი დაილეკოს ძირს. გარდაასხი წყალი სხვასა ჭურჭელსა და გარეცხე კარგათ მარილი. და შემდგომად ნარეცხი ესე წყალი ხემოთქმულსა გარდაწურვილსა წყალსა შინა აღურიე და მოაღუდე, ვიდრემდის ზე გამოჩნდეს გკარჯილის მსგავსი მარილი. შემდგომად გარდმოღვი და დადგი ოთხ ღღეს ციესა აღვილსა. მაშინ ძარს დააილეკს ნაყრისა მსგავსსა მარილსა. გაუასწურე ისიც და წყალი იგი მოხარუნე. და ოღეს ზესქელღეს, გარდმოიღე და დადგი ციეს აღვილს. მგი შეიქმნების გკარჯილის სახედ და მიეკვრის ქვაბსა გვერდებზედ და ძარზედ სახედ გკარჯილისა. და ესე არს ლომონის მარილი. ესე იხმევის დამპალსა საოჯღესა და სიცხესა. ზარბათით მიიწმევენ და უკეთუ გენებოს, მოაღუდე კვალად დანარჩომი წყალი და კვალად მოისთველებ მარილსა.

წითელი მინერალის მარილი
/კერმის მინერალის/ ყ12ა

მოიღე ანთიმონისა დანაყილი ერთი წილი და გარდახალისებული პაქაშა ოთხი წილი. დაასხი წყალი, შემოღვი რკინის ჭურჭლით. თხუთმეტ მინუქს აღუდე, და გაწურე და დადგი. იგი დაილეკს ძირს მარილს წაბლის ფერს და შ'დ მარილი იგი რეცხე წყლით. ვიდრემდის გემოი არღარაი პქონდეს რა, თვინიერ წყლისა. ამას იხმარებენ ხველისათვის და სარწყევადცა. ამისი მიეცემა ორის გრანიდამ სამს გრანამდის.

წითელი სინდიკი დაღვილი
/მერკურია პრეციპიტატუს რუბრი/
ყ126

მოიღე სინდიკი ოთხი უნცი და გააღნე საკმაოს თეხავში. შ'დ მინის ჭურჭელში ჩაასხი და გახურეგებულის სიღით ღულებით გააზრე. და დარჩენილი მარილი ჩაყარე ბუთაში. შემოღვი ძლიერს ცეცხლზედ და ურიე დაუცხრომელად თიხისა და ანუ ჭიქის კოვხით. და ოღეს მიიღოს ღერი ბრწყინვალე და წითელი, გარდამოღვი, გააცივე და იხმარე. ამას იხმარებენ მეჭევი-სათვის და მალამოსა შიგანცა მკურნალი აღურევენ.

გოგირდის რძისათვის
/ღაქ სულფურის/ §127

მოიღე წმინდა გოგირდი ექვის უნცი და ცხარი ტუტა საპნისა თვრამეტე უნცი. აურიე ერთათ და მოალუე თიხის ჭურჭლით. გარნა ურიე დაუცხრომი-
დად, ვიღრემლის გოგირდი განდნეს. და ოღეს შემდგომად გოგირდის განდნა
ბისა ტუტამ მიიღოს ფერი მოწითაწროი, მაშინ გაწურე. და განაწური დადგი
რაოდნსამე ღღესა, რომელიცა დაიღეს მოშოსა მიწისა მსგავსსა მარიდ-
სასა. წყალი იგი გარდაასხი სხვასა შინა ჭურჭელსა ნელიად, რათა არა
აღიმღვრეს. და მოიღე ექვის უნცი წყალი და მას შინა აღურიე ოთხი ღრამ
არჯასპისა სიმჟავე. და ეს წყალი ხემოხსენებულსა მას გარდაწურვილსა
წყალსა აღურიე წვრილათ და წვრილათ, ვიღრემლის აღარ შეიმღვრეს მით
ღანსამსა. ესე შეამღვრეს მას. შემდგომად გასწურე მტკიცეს სამოსელში
გინა ტილოში და რაიცა სამოსელსა მას მიეკრას მსგავსი მიწისა, იგი გა
რცხე, ვიღრემლის სრულიად გაეცალოს გემო მარიდობისა. შემდგომად გააწ
რე ქალაღით. ესე არს სახმარ ხველისათვის, ბუასილისა და სინედლისა.
ავს ნიჟის გამოსღვენის სხუელით, გაამთვეღებს წყლულს და მოაღენს ოჯღს.
ესე იხმარება ოცის გრანდიამ ორმოცამდის და სხვასა წამალსა შინა აღე-
რევა უმეტეს ღრამისა ერთისა.

ჯოჯობეთისა ქვისათვის
/ღაპის ინფერნალის/ §128

რაოდნიცა გენებოს ეგოიღენი ვეცხლი გააღნე თეხავსა შინა. და შემ-
დგომად განდნარი იგი გააწრე ნელისა ცეცხლით, რათა არღარა დაშეეს მის
შორის თეხაფი. შემდგომად მტვერი იგი რაყარი ანუ ვეცხლისა ბუთასა და
ანუ ჩინურისა ჭურჭელსა იგი განდნების. რა შეიქმნების ვითარცა ცვილი,
შემდგომად იგი გახურებულსა ქვისა და ანუ რკინისა ყალიბსა შინა ხე-
წანმულსა შიადე. გარნა არა იყოს ყალიბი იგი უმსხო კადმისა ფრთისა და
ანუ უწვილიდესსა. ესე მოსჭამს ხორცმეტსა, დასწვავს ხორცსა და წანმითა
ხორცთა ხელა დაარნევს შავსა ბრყვილსა, ესე იგი ხალსა.

სანოგადოდ მალამოთათვის §129

ამათ შეიქმნენ ცვილისა, ქონისა და საპნისაგან და ესე არს ორმედი

ცა გაეგღისების. ხოლო ამას წინა აღურვევენ ანუ მცენარეთა და ანუ ხეთთა და ანუ მინერალთა ნივთთა და ამის მიერ აქვსთ მათ თვისება განთვისებუ-
ლი, მით ხოლო რომელიმე არს მოსაპმელი; რომელიმე გასამთვლებელი; რომე-
ლიმე დასაწყულულებული და რომელიმე მოსამწიგებელი და სხვანი.

თოჯის წამლისათვის §130

მოიღე გარდახალისებული გვარჯილა ხუთი წილი გინა ექვსი წილი და გი-
ნა შვილი წილი, გარდახალისებული გოგირდი ერთი წილი, წმინდალ დანაყილი
ნახშირი წნორისა ანუ კატაწნორისა ანუ მურყნისა და ანუ თხილისა ერთი
წილი. ჩაყარე ღინგში და დანაყე ოკლათვრამეტ საათს. და დაასველე ოდეს
გაშრეს წყლითა ანუ არაყითა, მით ხოლო არაყი მიუმატებს აღჯხებისა ძა-
ლასა. და რლუესაც დაინაყოს, დაამგურგაღე საცრით ანუ მგერგაღლ და ანუ
მოგრძე-მოპრტყედ. და ესე არს თოჯის წამალი და ესე ამალ აღწრინღების,
ვინათგან გვარჯილასა წინა შეცულ არს მრავლად პაერი, ვითარცა ხენო
გარდამომქცრეს.

მეტალისათვის ესე იგი ღითონთა §130

მეტალნი განსხვავდებიან სხვათაგან ნივთთა ბრწყინვალეობითა, რომელიცა
აქვსთ მათ ბუნებითად და კვალად სიმძიმითაცა, მებტალნი არიან ოქრო, პლა-
ტინა, ვერცხლი, სპილენძი, რკინა, კადა და ტყვია, ვინათგან ესენი არა
დაიფხვნიებიან. უსრულნი არიან: ვისმუჭი, თუთია და ანთიმონია, რომელნი-
ცა დაიფხვნიებიან. ქიმიკოსნი უწოდებენ მებტალთა სხვადასხვათა სახელითა,
ესე იგი ახნაურად და გღეხად. ახნაურად, ესე იგი უკეთიღესად და უმაღ-
ღესად და გღეხად მღაბიოდ. ახნაურად სახელსდებენ ოქროსა, პლატინასა
და ვერცხლსა, ხოლო გღეხად სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა და კადასა.
სრულ მებტალად კვალადცა იწოდებიან ამალ, ვინაღდან რომელიმე განიკვერე-
ბიან და განიკვიციებიან. სინდიკსა რომელნიმე შერაცხვენ სრულთა მებტალთა
შორის და რომელნიმე-უსრულთა შორის. მებტალნი რომელნიმე არიან აღვილ
გადასაღნობ და რომელნიმე მნიელ. მაგალითად, კადა და ტყვია უმაღეს გაღ-
ნების, ვიღრღა განწითლდების, ხოლო ოქრო და ვერცხლი პირველად განწითლ-
დებიან და შემდგომად განღნებიან. გარნა სპილენძი და რკინა შემდგომად
ღიღისაგან ხურვებისა და განღაპლაპებისა განღნებიან. მებტალნი სრულნი

პლატინა არს მებტალი ანერიკასა წინა ახლად პოვნილი, რომელიცა არს თეთრი
და ბრწყინვალე უმვირჯანეს და უპატკოსნის ოქროსა. (დავითი).

ურთიერთსა განუხსნავებშიან მტკიცითა მოკიდებულებშითა კოპართა გამო თვის-
მასა, მიო რამე, თუ მათ შორის არიან, რომელნიმე სუსტისა განზიდულებისა
ზემწყნარებელნი, და რომელიმე მტკიცისა, მაგალითად, მარათული ერთვისა
სიმსხოსისა მქონებელი თითულთაგან მეტადთა უადვილეს განწყობების ტყვი-
ისა, ვიდრელა რკინისა. სინაგრიოთა და სინტკიცითა კალა აღემატების ტყვი-
ასა, სინაგრიოთა და სინტკიცითა სპილენძი-კალასა; ვერცხლი-სპილენძსა,
ოქრო-ვერცხლსა და რკინა-ოქროსა. ტყვიისაგან შედგების სურინჯი და უმა-
რლი. გარნა უმარისა. კალისა და ვერცხლისაგანცა შეიქმენ. ხოლო სპი-
ლენძისაგან-ყანგაროსა, და გარდა ამისსა დამწვარნი ნაცრად სხვანი და
სხვანი მექალნი. მისცემენ ჳიქათა ფერსა სხვასა და სხვასა: ოქრო და
რკინა დამწვარი ერთად-წითელსა, სპილენძი და რკინა დამწვარი ერთად-
მწვანესა, ტყვია-ყვითელსა, კალა-რძისფერსა მინანქრისა საქმესა შინა.
ხოლო კობლტუმი-რომელ ესეცა არს მეტალი უსრული-ფერსა ღურჯსა და ესე
მსგავს არს კალისა. კობალტისა ამისგან შეაქზადებენ მელანსა ურინარსა,
სიმპატიურ მელნად წოდებულსა. რომელსაცა მეტალსა ამას ზთაყრიან თეხაფ-
სა შინა დანაყრისა და ოდეს განდნების იგი, შემდგომად განაზავებენ მას
კმასაყოფელსა წყალსა შინა და აღურევენ მცირესა მარიდსა, რათა არა შეს-
ვამოს ქალადლი სიცხარემან მისმან. დაწერილი მის ქალადლსა ზელა ასოი
არცერთი ხილულ იქნების, ხოლო ოდეს განაჭვობ ცეცხლსა ზელა გინა სან-
თელსა, მყის ხილულ იქნების ნაწერი საამოთა ფერიოთა მწვანისათა; ხოლო
ოდეს დასდებ ცრვად ქალადლს მას, კვალად ურინარ იქნების წერილი.

მიწისათვის §94

მიწა არს ნივთი მაგარი და ხმელი, რომელიც განიყოფის მრავლად:
ა. რომელსაცა აქვს თვისება ჳიქისა და ღადნების ცეცხლსა შინა; ბ. თიხი-
ერი; გ. კირიანი და დ. საპნის მსგავსისა რბილი და სხვანი. ეპიფანიისა
ზელა ქვეყნისასა, რომელიმე არს პოებულ შავ, რომელიმე ყომრად, რომე-
ლიმე სილიერ, გინა ქვიშიერ და ესრეთ ყოველნი გვარნი მიწათანი შედგებულ
არიან და ზერეწილ ამა ზემოხსენებულთაგან გვართა. და მიხეხითა ამით
აქვს მას განსხვავიოული თვისებაი. და არა თუ მხოლოდ მიწანი შედგებიან
ამა ზემოხსენებულთაგან თვისებათა, არამედ კლდენიცა. და ყოველნი ესე,
თუცაღა აღეზავებიან წყალსა, გარნა არა ეცეოდენ დიდად. ხოლო ოდეს ქი-
მისაა შინა განსჩხრეკენ, მაშინ იხილვენ რომელ ვითარცა სხეულთა ზორის
ცხოველთასა, ეგრეთვე მცენარეთაცა შორის იპოების თვისებაი ზემოხსენე-
ბულთა მიწათა. მაგალ. ძვალსა შინა იპოების მიწა კირიერი, სისხლსა შინა
და ხორცსა-რკინიერი, ხოლო მცენარეთა შორის-უმეტეს ჳიქიერი. და გარდა

ამისსა პოეზულ არს მარჩილი, მეტადი და აღსანთებნიცა ნივთნი და უკანასკნელ წყლიერობაჲცა ესრეთ, რომელიცა არს შეერთებულ მასთანა, რომელ არა საცნაურ იქმნების თვინიერ ცეცხლისა. მაგ. ყოველი მარჩილი უკეთუ გააზრო მზითა და ანუ ქარითა, არა განუტევებს სინოტიცა, და ლეს შთაყარო ქებასა და შემოსდგა ცეცხლსა, განუტევებს იგი წმინდასა წყალსა. ყოველსა გვარსა მიწასა აქვს სიმძიმეი განსხვავებული: მიწა ნაატისა არს უმძიმეს ოთხითა წილითა წყალსა ზედა და სხვანი ქვანი-სამითა, ხოლო მიწა-ორნახევარითა. მიწასა საზოგადოდ არა აქვს სუნი. იგი არა დაიწვის ცეცხლსა შინა და არცა გაიშლებს და განდნების არცა წყალსა, არცა სპირტსა და არცა ზეთსა, გარნა უუძლიერესისა ცეცხლისაგან გარდაიქმნების ჳიქვად, თვინიერ კირიერისა მიწისა და ტალკისა (საპნიერისა).

* შპატნი: არს ჳიქებერი ქვა კუთხიანი თაგვმარჩისა მსგავსი, მოთებრო-მოყვითალო.

დავითი.

“შემოკლებული ფისიკის” შესაბამე ქიმიური პლასტის (§§ 94-130, 130) ტექსტს სრულად ვაქცენებთ, მხოლოდ ვადმოცემის თანამიმდევრობაში შევგაქვქვ ერთი კორექტივი, კერძოდ, პლასტის პირველი პარაგრაფი (“მიწისათვის“-§94), რომელიც აშკარად არ არის მოხვედრილი თავის ადგილას, ერთგვარი დამატების სახით, ტექსტის ბოლოში ვვაქცე ვადატანილი

§ 95. საერთო სათაურით (“ქიმიისათვის”) გამოყოფილი ეს და მომდევნო პარაგრაფი (§ 96) ქიმიის შესავლის საკითხებს შეიცავენ. შესავალი იწყება ქიმიის, როგორც მეცნიერების (“ხელოვნება” ტექსტში “მეცნიერების”, “სწავლების”. მნიშვნელობით არის მოყვანილი) განსაზღვრით, რომელიც თანამედროვე ენით შეიძლება ასე ჩამოყვალდეს: “ქიმია არის მეცნიერება (“ხელოვნება”), რომლის მეშვეობითაც შევისწავლით ნივთიერებების თვისებებს, ამ ნივთიერებების ურთიერთდაგან განსხვავებით, დყოფითა და გამოცალკევებით და დავადგენთ იმ ნივთიერებებს, რომლებსაც არის შედგენილი (“შედგმული”) სხეული”. ამ განსაზღვრვას, რომელშიც საკმაო სისაქით არის ვადმოცემული ახალიმეცნიერული ქიმიის საგანი და ამოცანები, ერთვის გილაროვსკის სახელმძღვანელოდან ვადმო-ღებული იმ ოპერაციების ჩამონათვალი, რომელთა საშუალებითაც ზორციელდება ქიმიური ვარდაქვნები ზოგიერთი ლათინური ტერმინისათვის ქართული შესატყვისის არ არსებობის ვამო, შესაბამისი ოპერაციის მოკლე ვანმარტება არის მოყვანილი, უშეტესად ყოფითი პრაქტიკიდან აღებული კერძო შემთხვევების სახით. (ფერმენტაციო-მჭვრის დელილი, რედუქციო-მანდის აღდგენა მეტალაზღუ კრისტალონსაციო-პროდუქტის ვარგვნილი ფორმის დასასიათება “შეშაშუშად” შექ-მნილი მინის, ეი ლენის მაგალითზე).

გილაროვსკის სახელმძღვანელოში ანალოგიური მასალა მოყვანილია ვანყოფილების (“მიწის შესახებ და უსაჭიროესი ქიმიური ნაწარმების შესახებ”) დასაწყისში, მიწისადმი მიძღვნილი ორი პარაგრაფის (§§ 425-426) შემდეგ.

ქიმიის არცთუ საქებით ტიპური ვანსაზღვრა აქ სხეულებთან მიმართებაში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: “Сложение тел натуральных открывает химия и подражая природе из различных частей издает новые тела” (3 ვკ306). ასევე სხეულებთან მიმართებაში არის დასახელებული ქიმიური ოპერაციებიც, თანაც ზმჯამული მითითებით, რომ აღნიშნული

ოპერაციების და სერთოდ, ქიმიის საკითხებს ცოდნა თითოეული ფიზიკოსისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დამატებით ალნიშნული პარაგრაფისაგან განსხვავებით, ვილაროუსკის ამ ორ პარაგრაფს, რომელშიც ქიმა ფიზიკის დამხმარე დისციპლინის სახით არის წარმოდგენილი, შემდგომი ქიმიური პარაგრაფების და არა საკუთრივ ქიმიის, შესავლის ფუნქციები აქვს დაკისრებული

§ 96. შესავლის ეს ბეორე ნაწილი, წინა ნაწილში ჩამოთვლილი ოპერაციების მოკლე აღწერებს, უფრო ზუსტად კი აღწერით განსაზღვრებს ეომბა თითოეულს დედარსში ადვილად ჩაწვდომის მიზნით დამატებითი ამ ოპერაციებს უბეტესად ყოფითი პრაქტიკიდან კარგად ცნობილი კერძო შემთხვევების მაგალითზე განიხილავს ყველა ოპერაცია აეტორს ვილაროუსკის სახელმძღვანელოს მიხედვით აქვს წარმოდგენილი, მხოლოდ საკუთარი განმარტებებით, რომელთაგან ზოგიერთი წყაროსეული ანალოგისაგან პრინციპულადაც განსხვავდება.

“კალცინაცია“ (სიტყვა-სიტყვით “კრად გარდაქმნა“), როგორც ცნობილია კირის ლათინური სახელწოდებიდან (“Calx”) მომდინარეობს, ენაიდან ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ განასახიერებს პერზე გამოწეუსა, კომპაქტური ნივთიერებებისათვის დამასსიათებელ, ფხეიერ მდგომარეობაში გადასვლას ზოგჯერ “კრად გარდაქმნა“ უფრო ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა და სერთოდ მყარი სხეულის ფხეიერ მდგომარეობაში გადასვლას აღნიშნავდა, როგორც გამოწეუს (ეწ. “შზრალი კალცინაცია“), ისე აგრესიული ქიმიური ხსნარების ზემოქმედების (ეწ. “სველი კალცინაცია“) შედეგად (მაგალითად, “სველ კალცინაციად“ ითვლებოდა მეკებში მეტალების გახსნა და ხელშეორედ გამოყოფა, რომლის შედეგადც ფხენილად სახემეცვლილ მეტალებს შეცდომით გამოწეუს გზით “კრად (ნაცრად, ზენჯად) გარდაქმნილ“ მეტალებთან,ეი ოქსიდებთან აიგიებდნენ- ის. მკვლ29, 14, გვ49).

დამატებითი “კალცინაცია“ თანამედროვე გაგებით, ეი გამოწეუს მნიშვნელობით ხმარობს, მაშინ როდესაც ვილაროუსკი ამ ოპერაციის მოქმედ საშუალებებად ცეცხლთან ერთად მეკებსაც (“საირტებს“) ასახელებს (3, გვ354-355) და მამასადამე “კალცინაციაც“ მოძველებული მნიშვნელობით აქვს გაცნობიერებული

მეტალის ოქსიდების მეტალამდე აღდგენის ოპერაციებს დამატებითი ბუნებრივი ოქსიდებისათვის “რედუქციოს“, ხოლო ხელოვნური ოქსიდებისათვის – “რეეიფიკაციოს“ უწოდებს ვილაროუსკი “რედუქციას“ ხელოვნური (და არა ბუნებრივი) ოქსიდის აღდგენას უკაეშირებს, ხოლო “რეეიფიკაციით“ ამაღამიდან ვერცხლისწყლის გამოყოფას აღნიშნავს (3, გვ361-362). ქართული ტექსტის

"რეჟიონალიზაცია" (სიტყვა-სიტყვით "ხელშეწყობა გაცოცხლება") ზუსტად გამოხატავს ერთხელ უკვე დაგნული ("მოკლული") მეტალის (ეი ხელოვნური ოქსიდის) ხელშეწყობა "გაცოცხლებას" ცნებას (ასევე ტყველი შინაარსისაა ქარ თული შესატყვისიც "განცხოველება"). ვერ კიდევ აღქმობურ ხანაში ეს ტერმინი ვერცხლისწყლის მიმართ გამოიყენებოდა, ხოლო მოგვიანებით (XVII -XVIII სს) მეტალურგულმა პრაქტიკამ ის მეტალების აღდგენას დაუკავშირა (10, გვ128; 11, გვ99). ასე რომ, გილაროვსკისაგან განსხვავებით, ქართველი ავტორი ტერმინს, ამ შემთხვევაშიც უფრო გათანაბდრობებული მნიშვნელობით ხმარობს.

რუსულ სახელმძღვანელოში აღნიშნული განსაზღვრების შემცველი პარაგრაფები განყოფილების მთელ ტექსტშია გადანაწილებული (3, გვ307,318, 339,353-356,360-362). დამგრატორმა კი მათ თავი ერთ პარაგრაფში მოუყარა და § 95-ს დაურთო,რათა სახელმძღვანელოში, ფიზიკის მსგავსად (1, გვ41-42), ქიმიაც საკუთარი შესავლით ყოფილყო წარმოდგენილი

რაც შეეხება აღნიშნული პარაგრაფის ბოლო ფრაგმენტს, რომელიც გამოხდისოქსიდის შედეგად მიღებული პროდუქტების შესახებ ცნობებს მოიცავს, ის თვითონ წარმოადგენს დამოუკიდებელ პარაგრაფს, რომლის § 96-ისგან საკუთარი სათაურით გამოყოფა ქართველ ავტორს, რატომღაც, გამოარჩენია.

ამ სახის შეუსაბამობები ტექსტის შემდგომ ნაწილშიც გვხვდება, რაც იმაზე მოუთითებს, რომ დამგრატორის არ დასცალდა შრომის საბოლოო რედაქტირება

§ 97. პარაგრაფში განხილულია სპირტული დუღილის საკითხები, რომლის დროსაც როგორც ცნობილია, მიკროორგანიზმების ცხოველმოქმედების შედეგად ნახ შირწყლები (შაქროვანი ნივთიერებები) გარდაიქმნებიან ეთილის (ღვინის) სპირტად და ნახშირორგანოდ ($C_6H_{12}O_6 \rightarrow 2C_2H_5OH + 2CO_2$). ზოგადად, დუღილის აღსანიშნავად, დავითი ხმარობს ტერმინ "დამყავებას", სპირტული დუღილისათვის - "ტყბილებრ აღდუღებას", "სპირტებრ დუღილს", "სპირტებრ აღდუღებას", ხოლო ძმარმყავური დუღილისათვის -"დუღილს სიმყავებას". მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ორგანული ნაერთების "სიტკბო და ანუ შაქრანობა", ფაქტობრივად, შაქროვან ნივთიერებებს (გლუკოზას ანუ ყურძნის შაქარს, ფრუქტოზას ანუ ხილის შაქარს, ლაქტოზას ანუ რძის შაქარს და ა.შ.) გულისხმობს საკმაოდ საინტერესოდ უნდა ჩაითვალოს სპირტული დუღილის შემოთავაზებული განმარტება, რომლის თანახმადაც სპირტი მიიღება ამოსავალი ნივთიერების "შინაგანი ნაწილაკების" დაშლისა და მათგან ახალი კავშირების წარმოქმნის საფუძველზე.

უფრო მნიშვნელოვანია ის მონაცემები, რომლებიც უკრძას წვენს. გადამუშავებასთან დაკავშირებით, პრაქტიკული სფეროდან არის აღებული, ტექსტურა და ატმოსფერული ჰაერი ("სიტფო და ჰაერი") სპირტული დუღილისათვის მართლაც აუცილებელ პირობას წარმოადგენენ, როცა სითხეში მზა სახით საფუარი არ არის შეტანილი: 5° -ის ქვემოთ სპირტული დუღილის პროცესი ჩერდება. ხოლო 30° ს ზევით ადვილად გადადის სხვა სახის დუღილში რაც შეეხება ჰაერს, მას სითხეში დუღილის დაწყებისათვის აუცილებელი მიკრობები შეაქვ. (12. გვ 848). ზუსტად არის აღწერილი აგრეთვე უკრძას წვენის დუღილი: პირველი და მთავარი სტადია, რომელიც სითხისა და ნახშირორჟანგის ინტენსიური გამოყოფით მიმდინარეობს პირველი სტადიის დასრულებას შემდეგ დაწმენდილი. ახალი ღვინო, რომელიც უკვე სპირტის გარკვეულ რაოდენობას შეიცავს, ტექსტის თანახმად, დაუყოვნებლივ (" მყის ") უნდა იქნეს გამოხდილი სპირტის გამოსაცალკეებლად, რათა თავიდან იქნას აცილებული ღვინის დაშავება მმარმავური დუღილის ("დუღილი სიმყავის") დაწყების შედეგად.

განხილული პარაგრაფის ცნობები დბაგრატიონის ამოკრებილი აქვს გილაროვსკის სახელმძღვანელოდან, სადაც სპირტების საკითხს ძალზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ო პარაგრაფის სახით (§§ 442-452; იხ. გვ17-322). თითქოს, მოსალოდნელი იყო, რომ ქართულ ტექსტშიც იგივე განმეორდებოდა, მაგრამ, სინამდვილეში, როგორც ვხედავთ, გილაროვსკის ცნობების შემოკლებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წილი სწორედ ამ პარაგრაფების ზარეზე მოდის როგორც ეტყობა, დბაგრატიონი თავისი სამედიცინო ორიენტაციის ერთგული დარჩა, და ეს არასამედიცინო მასალა მხოლოდ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად, აუცილებელი მინიმუმის სახით გადმოსცა.

§ 98. იმდროინდელი შეხედულებებით ანალიტური გამოხდის (თხევადი და მყარი სხეულების გახურების) შემდგომ სხეულებიდან მათი შემაღლებული ნივთიერებები მიიღებოდანალიტურ გამოხდას იყენებდნენ კონცენტრირებული მჟავების, მათ შორის გოგირდმჟავის მისაღებადაც (13, გვ543). გოგირდმჟავას, რომელიც "არკასპის ზეთის" (ლათ. "ოლეო ვიტრიოლე") სახელწოდებით იყო ცნობილი, ზეთისმაკვარი კონსისტენციის სახით იღებდნენ აჯასების გამოხდისას თვით აჯასი ტექსტში დახასიათებულია როგორც მეტალის შემცველი მარილი ("მარილ-მეტალებრი"), რომელიც მიწის მსგავსი მინერალის სახით ("სახითა მიწისათა") მოიპოვება და წყლით გამოტუტვა-გამოღვევის შემდეგ კრისტალურ სახეს იღებს ("მსგავსებს ბროლსა"). აჯასების ნაირსახეობათა ჩამოთვლისას

აჩვენებია, რომ მათ ფერს მეტალი განაპირობებს (აქ უდაოდ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ნაირსახეობათა სახელწოდებები, ფაქტობრივად, თანხედება თანამედროვე სახელწოდებებს ეი რკინის აჯასას, სპილენძის აჯასას და აშ.). საკმაოდ დეტალურად არის გადმოცემული მკაყის ძილებასთან დაკავშირებული საკითხები (აჯასაძის წინასწარი გახურება გაუწყლოების მიზნით; გამოსხდელი პროდუქტების წონითი ფარდობა; გოგირდიდან და შაბიდან ნაკლებად ძლიერი ("უსუსტეს") მკაყის ძილების შესაძლებლობა და სხვა) თვით მკაყის :აჯასათებისას აღნიშნულია ყველა მისი განსაკუთრებული თვისება (დიდი ხეჯდრითი წონა; სიბლანტე ("სიზრქე"), რაც სახელწოდებაშიც აისახა; წყლით განზავებისას მეტალების გახსნის უნარი).

ყველა ეს მონაცემი დაბგრატიონს ამოკრებილი აქვს გილაროვსკის სახელმძღვანელოდან, რაც თავისებურად გადამუშავებული და ზოგჯერ განსხვავებული მიდგომითაა გადმოცემული, მაგ. გილაროვსკით აჯასაძე კრიტალების სახით მოიპოვებინ მიწიდან, მაშინ როდესაც ქართული ტექსტით კრიტალებს სათანადო გადამუშავების შედეგად იღებენ; გილაროვსკით შაბებიდან და გოგირდიდან მკაყის ძილება აჯასაძეთან შედარებით უფრო გამძლეულებია, თანაც გოგირდი, მისი მონაცემით, გოგირდმკაყისა და "ცეცხლოვანი მატერიის"-ფლოვისტონის ნერთს წარმოადგენს (3, გვ. 325). ქართული ტექსტის მიხედვით კი, აღნიშნული ნერთები არააჯასაძეთან შედარებით, უფრო ნაკლები სიმძლევის მკაყებს იძლევიან (სხვა ქიმიურ სახელმძღვანელოებშიც, ჩვეულებრივ, ამ ფაქტს ასახელებენ. იხ. მაგალითად, 14, გვ. 179). რაც შეეხება ფლოვისტონს, დაბგრატიონი არ იზიარებს მოხვედრულ შეხედულებას მისი არსებობის შესახებ და ის საერთოდ ამოღებული აქვს ტექსტიდან.

§ 99. გამოხდით მიიღება მკაყე მინერალური მკაყაც-მხოტმკაყე ("თეზაფი", "გვარჯილის სიმკაყე"), მხოლოდ ამ შემთხვევაში, გვარჯილისთან ერთად, ამოსავალ ნივთიერებად გამოიყენება სულფატების შემცველი მკარი ნერთები (აჯასაძე, შაბი და აშ.) ან თვით გოგირდმკაყე.

პარაგრაფის პირველი ნაწილი მკაყის ძილების პროცესის თეორიული ახსნის ერთგვარ ტრას წარმოადგენს, რომელიც ეწ. "საშუალი მარილის" იმდროინდელ გაგებას ეყარება და როგორც ეტყობა, საკუთრივ დაბგრატიონის თეალსაზრისს გამოხატავს XIX ს ბოლომდე "საშუალი მარილი" განიხილებოდა, როგორც მკაყებისა და ფუძეების გარკვეული ერთობლიობა, რომლებაც მარილის

შემადგენლობაში, ერომანეთთან კავშირის მიუხედავად, თავის ინდივიდუალობას მანც ინარჩუნებდნენ (საშუალო მარილის ერთ-ერთ ნაირსახეობად მიიჩნევდნენ ჰ. ჯალისა და მჟავის ნერთსაც (10, გვ. 129), რომლის ტიპურ წარმომადგენლად ითვლებოდა ზემოთგანხილული აჯასაბებიც). ტექსტის მიხედვით გვარჯილაც საშუალო ("საშუალი") მარილს წარმოადგენს, რომელიც შედგება მჟავისა და ტუტე ნივთიერებისაგან ("ალკალისაგან"), კონკრეტულად კი ზოტმჟავისა და პოტაში. აგან ("კალატანის მარილისაგან"). გამოხდის პროცესში მათი განცალკევების გასაადვილებლად ანუ "უმჯაბეს განყოფისათვის" რეკომენდებულია დამატებითი კომპონენტის შემოტანა, სულფატშემცველი ნივთიერებების (შაბის, აჯასაბების და სხვა) ან თვით გოგირდმჟავის სახით. ამ შემთხვევაში "ალკალი გვარჯილიერი" დამატებით კომპონენტს "უკავშირდება", ხოლო "გამონთავისუფლებული" ზოტმჟავა უკვე ადვილად გამოიხდება.

მჟავის მიღებისათვის მითითებულია მორეაგირე კომპონენტების ზუსტი წონითი თანაფარდობა, აგრეთვე წყლის ის რაოდენობაც, რომელიც მიღებული მჟავის განსაზავებლად უნდა იყოს აღებული მიძღებ ("წამოსადინარ") ტურჭულში. გოლაროქსკის მონაცემებზე დაყრდნობით საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი ზოტ მჟავას თვისებები ხაზგასმულია, რომ ზოტმჟავა სიძლიერით ("სიცხარით"), გოგირდმჟავას გარდა, ყველა მჟავას აღემატება "ალკალთან" (იგულისხმება პოტაში) რეაგირებისას კვლავ წარმოქმნის გვარჯილას, ხოლო ცარცთან ("გილიგო") ურთიერთქმედებით - მაფოსფორისცენცირებულ ნერთს, რომელიც ლიტერატურაში ცნობილი იყო "ზოლდენის ფოსფორის" სახელწოდებით (6; გვ. 215).

§ 100. პარაგრაფში აღწერილია ეთერების ერთ-ერთი წარმომადგენლის ზოტმჟავა ეთილის ეთერის ("დამტკბარი სპირტი გვარჯილისა") მიღების წესი (დაწერილებით ეთერების შესახებ იხ. §103-ის კომენტარში).

პროდუქტის მისაღებად რეკომენდებულია ზოტმჟავისა ("გვარჯილის სიძავე ესე იგი თეზაფი") და ეთილის სპირტის ("ალკოლოლი", "მალანი ცხარი ოტკა") ნარევის გამოხდა სილის აბმანის მეშვეობით ("წელი ცეცხლით და ანუ გახურებული კვითი"). ამ დროს ადგილი აქვს ეთერიფიკაციის რეაქციას ($C_2H_5OH + HNO_3 \rightleftharpoons C_2H_5ONO_2 + H_2O$), რის შედეგადაც წარმოქმნილი ზოტმჟავას ეთილის ეთერი დისტილაციის სახით "წინწინაქარი ამისი და ანუ პირველი ჩამოსრული" გადაიღვენება მიძღებში დისტილატში ზოტმჟავის მინარევის პირველი ნიშნების გამოჩენისას ("ოდეს იწყებს სიძავე გინა-მჟავე წვეთად დუნასა") პროცესი დამთავრებულად ითვლება ტექსტის ბოლოს მითითებულია ის

აკადემიკოსობები, რომელთა სამკურნალოდაც გამოიყენება მიღებული პროდუქტი

§ 101 მინერალურ მყავათა მესამე წარმომადგენლის-მარილმყავას ქართული სახელწოდება ამოსავალი ნივთიერების ("სუფლის მარილის" "სუფრის მარილის) მიხედვით არის აღებული, ხოლო ლათინური სახელწოდება ("სპირიტუს სალის მურიატის") ა.ლავეზიეს მიერ შემოღებული ფორმით არის გამოყენებული (maria -ჰიპოთეტური ელემენტი).

მყავის მისაღებად სუფრის მარილისა და გოგირდმყავას ნარეუს (2: 1) ახურებენ "ნული ცეცხლით" ან სილის აბჯანით ("გახურებული ქეიში"). გამოყოფილი ქლორწყალბადის შთანსათქმელად მიღებში წინასწარ წყალია ჩასხმული, რომელიც ადილად ხსნის ანუ "შეიწყნარებს ღმსა მას!".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროცესის ქიმიზმთან დაკავშირებული წინადადება ამკარად არასრული სახით არის მოყვანილი და საკმაოდ ბუნდოვანია "არჯ ასპის სიმკავე შეერთდების... მარილისა აღვალს ხუფსა სახითა ღმსათა!" როგორც ეტყობა ტექსტის შვი ხელნაწერიდან გადმოწერისას დაბაგრატიონს, მექანიკურად, მთელი სტრიქონი გამორჩენია (გამოტოვებული სტრიქონის ადგილი წინადადებაში მრავალწერტილით გუქვს მინიშნებული). თუ გაეთვალისწინებთ, რომ სუფრის მარილი იმდროინდელი წარმოდგენით, განიხილებოდა როგორც "ალკალისა" (ნატრიუმის კარბონატი) და მარილმყავას შემცველი "საშუალი" მარილი, მაშინ წინადადება შეიძლება დაახლოებით ასე აღვადგინოთ: "არჯასპის სიმკავე შეერთდების ალკალობასა სუფლის მარილისა, ხოლო განყოფილი სიმკავე მარილისა აღვალს ხუფსა სახითა ღმსათა!".

პარაკრაფის მეორე ნაწილი, უკვე ვილაროქსკის მონაცემებზე დაყრდნობით, მარილმყავისა და თანაური პროდუქტის გლაუბერის მარილის ("საკვირველი გლაუბერის მარილი") თვისებების განხილვას ეთმობა

გამოხდის პროცესის მყარი ნარჩენი ("გამონახადი")-გლაუბერის მარილი ($Na_2SO_4 \cdot 10H_2O$) დახასიათებულია როგორც ნაერთი, რომელიც ჰაერზე განიცდის გამოფიტვას ("გარდაიქმნების მტერად"), ხოლო ღვინოსა და წყალთან შერევისას ამ უკანასკნელთა გაცევაბს იწყევს

მარილმყავასთან დაკავშირებით მოყვანილია მისი შემდეგი თვისებები: სხვა მყავებთან შედარებით უფრო მაღალი დენადობა ("შიგან გაეარდნა") და აქროლადობა ("ამოქრობა"), გოგირდმყავაზე ნაკლები სიძლიერე ("სიცხარე") და კუთრი წონა, ტყვის, ვერცხლის და ვერცხლისწყლის ნიტრატებიდან მეტალითა გამოლეკვა (იგულისხმება ქლორიდების სახით), ვერცხლისწყალთან ურთიერთქმედებისას

ვერცხლისწყლის ქლორიდისსულემის ("შერკურია სუბლიმატუს" ანუ "ღარიშხანა"), ხოლო ზოტმყავასთან შერევისას სამეფო არაყის ("აქვა რელიო-წყალი მეუღსა") წარმოქმნა

§ 102. პარაგრაფში მოყვანილია ზოგიერთი ცნობები მცენარეული და ცხოველური მჟავების შესახებ, თუმცა სათაურში მხოლოდ მცენარეული მჟავებია აღნიშნული XVII საუკუნის მეორე ნახევრისათვის არსებული ნივთიერებების კლასიფიკაციის მიხედვით მჟავათა კლასს ყოფდნენ მცენარეულ, ცხოველურ და მინერალურ მჟავებად (ს; გვ79). თვისებების მიხედვით ხილის წვენებიდან (ისევე როგორც ცხოველური ნარჩენებიდან) მიღებულ მჟავებს მინერალური მჟავებისგან განსხვავებდნენ სიმძლიერითა და სიმკვეთრით. სწორედ ეს ჰარია გატარებული ტექსტის დასაწყისში, სადაც სიტყვა "ლითონი" ლათინური (*minerale*) "მინერალის" შესატყვისად იხმარება.

მჟავების მიღების კერძო მაგალითები რატომღაც მხოლოდ ცხოველური "სპირტებით" არის წარმოდგენილი, რომელთაგან ერთერთი, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მჟავათა კლასს არც განეკუთვნება

პირველ მაგალითში აღწერილია ჭიანჭველის მჟავის ("ჭიანჭველის სპირტი") მიღების ხერხი იმ დროისათვის ამ მჟავას ჩვეულებრივ ჭიანჭველების წყალთან ერთად გამოხდის ან წყლით გამორეცხვის საშუალებით იღებდნენ (14, გვ90) პარაგრაფში გამოხდის მეთოდია მოყვანილი; განსაკუთრებული ყურადღება აქცევა გამოსახდელი მასალის წინასწარ დამუშავებას (ჭიანჭველის გამოჭყელება და მათი ხანგრძლივი დროით დაცვენება). ამ დროს გამოყოფილი მჟავა უფრო ადვილად გამოიხდება და გამოსახდელი მასალა წყლის დამატებასაც აღარ საჭიროებს

რაც შეეხება მეორე მაგალითს, პირველისაგან განსხვავებით, ჭიანჭველის გამოხდის პროდუქტი ამიაკის ნაერთს წარმოადგენს და არა ცხოველურ მჟავას ჭიანჭველის ლაობისას ზოტმმეცველი ნაერთები ამონიუმის კარბონატად გარდაიქმნებიან და არაყთან ერთად გამოხდისას იძლევიან ამ მარილის სპირტისნარს როგორც ეტყობა დავით ბაგრატიონი შეცდომაში შეიყვანა იმ გარემოებამ, რომ ჭიანჭველის გამონახდის მსგავსად, ჭიანჭველის გამოხდის პროდუქტსაც "სპირტს" უწოდებდნენ და ამ სახელწოდების მიხედვით ეს უკანასკნელიც მჟავების კლასს მიაკუთვნა. მითითება, რომ ორივე პროდუქტი გამოიყენება სამკურნალო მიზნით, თავისთავად მიგვიანიშნებს ამ მასალის წარმომავლობაზე. ის უდავოდ ქიმიურ-ფარმაცევტული წყაროდან უნდა იყოს აღებული, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც რომ მეორე

ნართის მიღებისათვის გამოყენებული წესი დაბგრატიონს სიტყვა-სიტყვით აქვს აღწერილი თავის სამკურნალო რეცეპტებშიც (4, ფ.175 r).

§ 103. პარაგრაფში აღწერილია ეთილის ("გოგირდის") ეთერის მიღების ორი წესი მინერალური მჟავების (გოგირდმჟავის, მზოტმჟავის და მარილმჟავის) სხვადასხვა ეთერებს ფართოდ იყენებდნენ მედიცინაში "დამტკბარი მჟავე სპირტების" სახელწოდებით. დიდი აღიარება ჰპოვა ეთილის ეთერისა და სპირტის ნარევი, რომელიც ფ. პოფმანის (1660-1742) გაუმჯობესებული რეცეპტურით მიიღებოდა და რომელსაც შემდგომში "პოფმანის წვეთების" სახელწოდება დაუმკვიდრდა

პირველი წესის მიხედვით ეთილის სპირტისა ("სამნახადი ოტკაი") და გოგირდმჟავის ("არჯასპის ზეთი") ნარევი, ერთთვიანი დაყოვნების შემდეგ, სილის აპჩანსხე ("გახურებულს სილით") გამოიხდება. ეთერიფიკაციის რეაქცია, რომელიც სპირტისა და მჟავის ურთიერთქმედების მიმდინარეობს, ორი სტადიისაგან შედგება პირველ სტადიაზე წარმოიქმნება ალკილგოგირდმჟავე ($C_2H_5OSO_3H$), რომელიც რთულ ეთერებს განეკუთვნება ($C_2H_5OH + H_2SO_4 \rightleftharpoons C_2H_5OSO_3H + H_2O$).

ვინაიდან ეს პროცესი შექცევადია, ჩვეულებრივ ტემპერატურაზე, წონასწორობის მდგომარეობის დამყარებას რამდენიმე დღე სჭირდება (აღწერილ წესში ნარევის ერთთვიანი დაყოვნებაც ამ მიზანს ემსახურება). ნარევის გაცხელებისას კი, მეორე სტადიაზე, ეთილის ეთერი მიიღება ($C_2H_5OSO_3H + C_2H_5OH \rightleftharpoons (C_2H_5)_2O + H_2SO_4$). ეს ეთერი რეაქციაში შეუსვლელ სპირტთან ერთად გადაიდნება და მას "წწორების დამაწყნარებელი კაპლი ლოფმანისა". ამის შემდეგ რეკომენდებულია სისტემაში სპირტის ახალი ულუფების შეტანა და გამოხდის ციკლის ხელახლა, რამდენჯერმე გამეორება (ცხადია, იმ მომენტამდე, სანამდის გოგირდმჟავე საბოლოოდ არ დაიხარჯება, ძირითადად გოგირდოვან მჟავამდე აღდგენისა და აქროლების შედეგად). ამკერად მიღებულ დისტილატს, ტექსტის თანახმად, "წვეთი არჯასპისა" ეწოდება

პარაგრაფში მოყვანილი მეორე წესი, პირველისაგან განსხვავებით, ერთჯერადი ციკლით შემოიფარგლება და გამოსახდელი კომპონენტების განსხვავებულ თანფარდობასა და კონცენტრაციებს ითვალისწინებს აღსანიშნავია, რომ დაბგრატიონს თავის "სამკურნალო რეცეპტებშიც" აღწერილი აქვს ეთილის ეთერის ("ლოფმანის კაპლის") მიღების კიდევ ერთი წესი (4 ფ.44), რომელიც განსხვავდება ამ ორი ზემოთ განხილული წესისაგან.

თავდაპირველად, როგორც ეტყობა, § 100-ისა და § 103 -ის მასალები ავტორს ერთ პარაგრაფში ჰქონდა განხილული საერთო სათაურით "დამტკბართათვის

შეა ეთა სპირტთა, ნათაღცა წოდებულთა“: შემდეგ მან ცალკე გამოყო ზოტმეყა-
ეთილის ეთერის მიღების წესი (§ 100) და ამით აიხსნება განხილული პარაგრა-
ფის შინაარსსა და სათურს შორის არსებული შეუსაბამობა

§14 ეს პარაგრაფი ეძღვნება ეწ. შარდის სპირტს, რომელიც ‘საშიშილი’
სუნის მქონე შარდის, ეი ხრწნადი შარდის გამოხლით მიიღება. ლაბის შედეგად
როგორც ცნობილია, შარდის შემცველი შარდოვანა (CH_4N_2O) ამონიუმის
კარბონატად გარდაიქმნება ($CH_4N_2O + 2H_2O \rightarrow (NH_4)_2CO_3$), რომელიც
გახურობს სა. ადვილად ქოვდება და გადადენილ წყალთან ერთად შეადგენს
აღნიშნულ “შარდის სპირტს” ანუ ამონიუმის კარბონატის წყალხსნარს ტუტე
ხსნარქმეათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების აღნიშვნა (ის ექსტრაქტით
("შარბათით") სითხის გამწვანება, მყავებთან "შიშინით" ურთიერთქმედება, საშუალო
მარილების წარმოქმნა და სხვა) თავისთავად გულისხმობს, რომ ეს ნაერთიც
ეწ. ალკალების ანუ ტუტე მარილების ჯგუფს განეკუთვნება. იმ დროისათვის
ამონიუმის კარბონატს ჯერ კიდევ მკვეთრად ვერ ანსხვავებდნენ ამჟამისაგან
(2, გვ.144), მაგრამ თუ გაეთვალისწინებთ მყავებთან კარბონატებისათვის
დამახასიათებელ "შიშინით" ურთიერთქმედებას (სხვე როგორც საწყის ნივთიერებად
შარდის გამოყენებას), ამ შემთხვევაში შარდის სპირტი კონკრეტულად ამონიუმის
კარბონატის წყალხსნარს გულისხმობს მისგან "შოპოებული" და ნიშადურის
მსგავსად აქროლადი ("აღმოსაქრობი") მარილიც, ცხადია, მყარ ამონიუმის
კარბონატს წარმოადგენს

აღნიშნული მონაცემები გილაროჟკის სახელმძღვანელოდან არის ამოკრეფილი
აქედანვეა ამოღებული ცნობაც "შარდის სპირტის" ამოსავალი ნივთიერების
შესახებ, მხოლოდ გარკვეული კორექტივების შეტანით. გილაროჟკის თანახმად
შარდის სპირტის მიღება შეიძლება როგორც ლაბადი მცენარეული და
ცხოველური სივითიერებებიდან, ისე არორგანული კარბონატშემცველი ნაერთებიდან
("Угриные спирты получают из... ури ны, винных дрожей, всех частей
животного тела, гнилых растений, мелу, известняка, серпентину и т.пр."- იხ.,
გვ.234). ქართულ ტექსტში კი ორგანული და არაორგანული ნაერთების ერთობლივ.
გამოხდა იგულისხმება და მამსადამე ცარცი ("გილიგო") და კორქა
დასახელებულია იმ აუცილებელ დამატებით კომპონენტებად, რომლისაც
ზოტშემცველი ნაერთებიდან ამონიუმის კარბონატის მიღებას უზრუნველყოფენ.

ასევე საყურადღებოა პარაგრაფის ბოლო ფრაგმენტი, რომელშიც დამატებითი
განმარტავს ტერმინ "შარდის სპირტის" კრებითი მნიშვნელობით ხმარების მიზეზს

იმ დროისათვის ევროპაში, როგორც ცნობილია, ამონიუმის კარბონატი და ამიაკის სხვა ნერთები, ძირითადად დამპალი (ფეკალური გამონაყოფები, დაცემული პირუტყვის ხორცი) და არადამპალი (პირუტყვის ძელები, რქები, ჩლიქები, ტყავის გამოუყენებელი ნაწილები) ნედლეულის გადამუშავებით მიიღებოდა. აქედან ყველაზე ფართო გამოყენება, თავიდანვე, დამალმა შარდმა ჰპოვა, რომლის გადამამუშავებლმა ქარხნებმა XIX ს მიწურულამდეც კი მოაღწიეს (12, გვ424, 481-482). დაეთ ბეგრატინიცი აღნიშნული ტერმინის დამკვიდრებას, საკებით სწორად, ამ გარემოებას უკავშირებს, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ამიაკის ნერთებს შემცველ "სპირტებსა" თუ "მარილებს", კონკრეტულ საწყის ნერთებთან დაკავშირებით, "კერძო" სახელწოდებებითაც მოიხსენიებდნენ (მაგ.ჭაიყელის სპირტი", "ირმის რქის სპირტი", "ირმის რქის მარილი" -ისაქვე §102 და §109).

§ 105. სათური აღდგენილია სახელმძღვანელოს ბოლოს დართული სარჩევის მიხედვით (1, გვ179). ტექსტში ზოგადად წარმოდგენილია ეწ. მიმწვარი "ატრუსვილი" ("ატრუსული") ზეთები, რომლებსაც მცენარეული და ცხოველური ნივთიერებებს პიროვნეტიკური დაშლით იღებდნენ მშრალი გამოხდის პროცესში (14, გვ98-99, 15, გვ154-155)პარაგრაფის ბოლოს საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ მცენარეული და ცხოველური ნივთიერებებს წვალობა, სწორედ ამ წვალი ("აღსავსებები") ზეთების შემცველობით ("ზეთიანობით") არის განპირობებული აქ მოყვანილი ცნობები დაბეგრატინის გილაროვსკის სახელმძღვანელოდან აქვს აღებული (3, გვ336).

§ 106. ფოსფორისადმი მიძენილ პარაგრაფში აღწერილია მისი მიღება და დამახასიათებელი თვისებები

ფოსფორის მიღების წესი შარდის გადამამუშავებას ითვალისწინებს, რომელიც თითქმის XVIII ს მიწურულამდე, ფოსფორის წარმოებაში ერთადერთ ნედლეულად ითვლებოდა შარდი ფოსფორის შეიცავს ეწ. "ფოსფორის მარილის" ($Na-NH_4HPO_4$) სახით, რომელიც ორგანიზმში ფოსფორის ნერთების უწყვეტი ფანგვის პროდუქტს წარმოადგენს

"ქიმიკოსნი", "მოლელებს" საშუალებით, წინასწარ ანხორციელებენ ბადაგის მსგავსად შარდის შესქელებას, სწორედ ამ მარილის კონცენტრირებული ხსნარის მიღების მიზნით. გამოსახედილ ჭურჭელში შესქელებულ შარდისა და ნახშირის ფხენილის ნარევის თერმული დამამუშავებისას (ჯერ ნელ ცეცხლზე შემდეგ

ტემპერატურის თანდათან ("წერილ-წერილად") მომატებით) შემდგომ პროცესებს აქვს ადგილი: მიმდინარეობს, სრულ ამოშრობამდე, თხევადი ფაზის ამოორთქლვა; შემდეგ ძლიერი გამოწევისას, "ფოსფორის მარილის" შემცველი მყარი ნარჩენი კარგავს წყალს და ამიაკს და გარდაიქმნება ნატრიუმის მეთაფოსფატად ($NaNH_4HPO_4 \rightarrow NaPO_3 + H_2O + NH_3$); ბოლო სტადიაზე კი ნახშირის საშუალებით ფოსფორი მიიღება ($3NaPO_3 + 5C \rightarrow 2P + Na_3P_2O_4 + 5CO$), რომლის ორთქლიც "ცვილის მსგავსი" წვეთების სახით მიძღვება წყალქვეშ განიცდის შესქელებას

აღწერილი წესი, ისევე როგორც ფოსფორის სამკურნალო საშუალებად გამოყენების საკითხები, დამატაციონს ჩვენთვის უცნობი წყაროს მიხედვით აქვს გადმოცემული. რაც შეეხება მონაცემებს ფოსფორის თვისებების შესახებ, ძინი ავტორს მოყავს გილაროუსკის სახელმძღვანელოდან, რომელშიც ფოსფორის მიღებაც არის განხილული, მხოლოდ განსხვავებული წესით (3, გვ.336-339).

§ 107. ეს პარაგრაფი, ანალოგიურად დამატურებული § 104-გან განსხვავებით, საწყის ნივთიერებად ნიშადურის გამოყენებას ითვალისწინებს, თუმცა, აქაც ფაქტობრივად იგივე პროდუქტები მიიღება (სახელმძღვანელოს სარჩევში დამატაციონმა სწორედ ამ საწყისი ნივთიერების მიხედვით სახელდებული სათაური "ნიშადურისა სპირტისა" გაიტანა-იხ.გვე179).

პირველი ორი ნაერთი, "სპირტი ნიშადურისა" და "სპირტი ნიშადურისა ლეინო-სა" მიიღება პოტაშისა ("ნაცრის მარილი") და ნიშადურის ურთიერთმოქმედებით ($2NH_4Cl + K_2CO_3 = 2KCl + (NH_4)_2CO_3$). წარმოქმნილი ამონიუმის კარბონატი, მასთან ერთად გადაღენილ წყალში ან სპირტში გახსნით, შესაბამისად, ამ მარილის წყალხსნარს ან სპირტხსნარს იძლევა

პირველი ორისაგან განსხვავებით, მესამე წესი უკვე "სხვაგვარი სპირტისა" მიღებას ითვალისწინებს ამისათვის პოტაშისა და ნიშადურის წყალხსნარს ემატება ჩაუმქრალი კირი ვინაიდან ამ დროს ნარევი წარმოქმნილი კალციუმისა და კალიუმის ფუძეები (ეს უკანასკნელი კალციუმის პიდროუსილდა და პოტაშის ურთიერთქმედების შედეგად მიიღება) ადვილად გამოდევნიან ამიაკს ნიშადურიდან. გამოხდის საბოლოო პროდუქტს ამიაკის წყალხსნარი ანუ "აღმოსაქრობი ნიშადურის სპირტი" შეადგენს

პარაგრაფში მოყვანილი მასალა დამატაციონს სააფთიაქო პრაქტიკიდან უნდა აქონდეს გადმოღებული, რაც ნათლად ჩანს ტექსტიდან (საწყისი ნივთიერებების ზუსტი წონითი მონაცემები, საბოლოო პროდუქტების სამკურნალო პრეპარატებად

განხილვა, მიღების წესების საკმაოდ დეტალური აღწერა და ა.შ).

შესაძლოა პირველი ორი წესი მას შემოკლებით გადაწერილი ჰქონდეს თავისივე "სამკურნალო რეცეპტიბიდან", რომელშიც ისინი, პრაქტიკული რჩევებს სარჯზე კიდევ უფრო ვრცელი სახით არიან წარმოდგენილნი (ერთ-ერთ რეცეპტში ავტორი იმსაც კი ითვალისწინებს, რომ საქართველოში პრეპარატის მიღების პრაქტიკულად განხორციელებისათვის საჭირო ქიმიური ჭურჭელი შეიძლება არ აღმოჩნდეს და მის ნაცვლად ქართველ მკითხველს "თიხის ქვაბ-ქოთნის" გამოყენებას ურჩევს იხ.4, ფფ.105-106).

§ 108. პარაგრაფში აღწერილია ეწ. "მინდერერის სპირტის" ("სპირტი მენდერერისა") ანუ ამონიუმის აცეტატის (CH_3COONH_4) წყალხსნარის მიღება, რომელიც სამკურნალო საშუალებად, როგორც ტექსტში არის აღნიშნული, ექიმს მინდერერმა (1570-1621) შემოიღო პროდუქტის მისაღებად "გამოიხლება" ძმრის, ნიშადურისა და კალიუმის აცეტატის ნარევი (ეს უკანასკნელი წინასწარ მიიღება ძმრისა და პოტაშის ღულებით).

§ 109. პარაგრაფში აღწერილი წესი, ისევე ამონიუმის კარბონატისა და მისი წყალხსნარის მიღებას ითვალისწინებს, მხოლოდ ამჯერად ირმის რქის მშრალი გამოხდით (ირმის რქა ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ ამოსავალ ნედლეულს წარმოადგენდა და მასთან დაკავშირებული პროდუქტის სახელწოდებაც საყოველთაოდ იყო მიღებული იმდროინდელ ლიტერატურასა და პრაქტიკაში).

ტექსტის თანახმად, გამოხდის პროცესი სამ სტადიად მიმდინარეობს და თითოეულ სტადიაზე წარმოქმნილი ნერთისათვის საკუთარი მიმღები ("ჭურჭელი ჩამოსადინარი") გამოიყენება

პირველ სტადიაზე რქის შემადგენლობაში არსებული წყალი გამოიხდება ("ჩამოვალს ორთქლი და წყალი"). მეორე სტადიაზე გამოიყოფა ამონიუმის კარბონატი ამ ფაქტის აღნიშნული ფრაგმენტი იმ შემთხვევაში გადმოსცემს სწორად საქმის ვითარებას, თუ მას ზედმეტად ჩართული "და" ნაწილაკის გარეშე წაივითხაუო ("მამინ ჩამოვა სპირტი ირმის რქისა, (და) ოდეს გამოჩნდეს ღრუბლისა მსგავსად თეთრად").

მიმღეში დაგროვებული ეს "თეთრი ღრუბლის მსგავსი" "ცვარი", ამონიუმის კარბონატის წყალხსნარს წარმოადგენს ამავე ჭურჭლის კედლებზე ("ჭიქის" ეი მინის ქვაბი მხოლოდ მიმღებ ჭურჭელს უნდა გულისხმობდეს) კი, უშუალოდ ამონიუმის კარბონატი გამოიყოფა. კრისტალების სახით. შესაბამისად, თხევად

პროდუქტს "ირმის რქის სპირტი", ხოლო მყარს-"ირმის რქის მარალა" ეწოდება.
რაც შეეხება შესაბამე სტადიას, ამ შემთხვევაში, რამდენადაც ფრაქციის სახით გამოყოფილი "ზეთი", ცხოველურ ზეთს, ანუ ეწ. "ლიპულის ზეთს" წარმოადგენს

§110. ეს და მომდევნო ორი პარაგრაფი (§§ III 112) ვერცხლისწყლის ნერთებს ეთმობა გილაროქსის სახელმძღვანელოს მიხედვით შედგენილ ქართულ ტექსტში აქროლებისადმი მიძღვნილი ფრაგმენტის მექანიკურად არის გადმოყოფილი, რის გამოც პარაგრაფში, უნებლიედ, გამოირებულია ერთხელ უკვე განხილული საკითხი (როგორც ზემოთ აღნიშნულ, ქიმიური ოპერაციების შესახებ, რუსულ ტექსტში გაბნეულ ცნობებს დაბარატონმა §96-ში მოუყარა თაყი).

აქროლების ოპერაციის წარმოდგენილი განსაზღვრა, რომელიც არა მარტო რუსულ წყაროში, არამედ ქართულ ტექსტში მოყვანილი წინა განსაზღვრებიდანაც განსხვავდება, არც თუ მთლად გამართული წინადადებების სახით არის გადმოცემული თანამედროვე სიტყვებით მასში გატარებული მარი შეიძლება დახლოებით ასე გადმოიცეს აქროლება არის ის ოპერაცია, რომლის დროსაც რაც აქროლდება ("აღკვეთილებს ზე") არის უმტირეს და მსუბუქი ნივთიერებები ("ნივთი წელილინი და ზე აღმფრენნი") და ძინი ჭურჭლის ზუფს მიეკრან არა თხევადი კონდენსატის ("ცვარის"), არამედ მყარი ნივთიერების სახით ("სახე ხმელისა ნივთისა"), რომელსაც "ქიმიურად დაწვლილებული" (ტექსტში შეცდომით ფიგურირებს "დაწვლილება") ეწოდება. აქ სიტყვათშეთანხმება "ქიმიურად დაწვლილებული" საკმაოდ ზუსტად გადმოსცემს სუბლიმატის ცნებას, რომელიც მართლაც ნივთიერების მოლეკულურ დონეზე დაწერილმანების და ხელმეორედ აგრეგირების პროცესების პროდუქტს წარმოადგენს

პარაგრაფში კერძო მავალითად მოყვანილი ვერცხლისწყლის (III) ქლორიდის სულემბს ("დარიშხანა გინა სულემბანი" $HgCl_2$) მიღების წესი ვერცხლისწყლის, სუფრის მარილისა და "არჯასპის" (როგორც ეტყობა რკინის აჯასპის) ნარევის გამოხდას ითვალისწინებს ნარევის ტენისა და აჯასპის კრისტალიზაციური წყლის ("ნოტიობაი და წელიერობა") მოსაცილებლად, საწყის ეტაპზე გახურებას თავახილ ჭურჭელში აწარმოებენ. ამის შემდეგ პროცესი დახურულ ჭურჭელში გრძელდება, რის შედეგადაც ხუფის შიგა მხარეზე, "ხაქის" მსვაქაი სუბლიმატის სახით გამოიყოფა სულემბა

§11. აღწერილია ვერცხლისწყლის სულფიდის-სინგურის (HgS) სუბლიმატის მიღება ვერცხლისწყლისა და გოგირდის ნარევის გახურებით ($Hg + S \rightarrow HgS$). ეს ერთადერთი პარაგრაფია, რომლის ტექსტიც თითქმის სიტყვა-სიტყვით თანხვედბა გილაროუსკის სახელმძღვანელოში მოყვანილ ტექსტს (3, გვ341-342).

§12. ვერცხლისწყლის (I) ქლორიდის-კალომელის (Hg_2Cl_2) მისაღებად სულემის ($HgCl_2$) და ვერცხლისწყლის ერთმანეთში კარგად "გაქნილი" ნარევი, რეტორტაში ("მინის ჭურჭელში ყალიონის მსგავსში") გამოიხდება სილის აბზანაზე ამ დროს წარმოქმნილი კალომელი ($HgCl_2 + Hg \rightarrow Hg_2Cl_2$) რეტორტის კედლებზე გამოიყოფა თეთრი კრისტალების სახით ("თეთრი მარილისა მსგავსი შუშაშუშად"). აღწერილი მეთოდი, კროლის მეთოდის სახელწოდებით, ძალზე გავრცელებული იყო XVIII ს. ევროპაში როგორც ამ წესის აღწერილობა, ისე სამედიცინო-ხასიათის რეკომენდაციები დაბაგრატიონს მოყვას ჩვენთვის უცნობი წერილობითი (თუ ზეპირი?) წყაროებიდან (გილაროუსკის სახელმძღვანელოში მოყვანილი წესი, რომელიც სრულიად განსხვავდება განხილული წესისაგან, სულემისა და ვერცხლისწყლის მრავალჯერად გამოხდას ითვალისწინებს (იხ3, გვ341)).

§ 13. აფთიაქებში, სამკურნალო მიზნებისათვის, გოგირდისა და გოგირდოვანი მყავების პრეპარატული მიღება, ჯერ კიდევ 153 წლიდან დაიწყო გოგირდის დაწვით. ვინაიდან დაწვის პროცესი მინის ზარის (ლათ. campana) ქვეშ ხორციელდებოდა, რეაქციის პროდუქტს ეწოდა "spiritus sulphuris per campanam", ეი "გოგირდის სპირტი (მიღებული) ზარის საშუალებით" (15, გვ128; 17, გვ81). ქართულ ტექსტში ზუსტად იგივე პროცესია აღწერილი, მხოლოდ ზარის ნაცვლად ზუფიანი პინა არის გამოყენებული გოგირდის ადვილად დაწვისათვის ან უკანასკნელს აალებადი კომპონენტები (მზე, ბურღო და სხვა) აქვს დამატებული, ხოლო წყლის ორთქლის გარემოს უზრუნველსაყოფად, ზუფი წინასწარ წყლით სველდება ("ზუფი დასველე").

წინადადებიდან "ამასცა აქვს ძალი არჯასპისა ზეთისა" ჩანს, რომ "გოგირდის სპირტს" დაბაგრატიონი "არჯასპის ზეთთან" აიგივებს (საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ამ მყავებს ერთმანეთისაგან განსხვავებულ ინდივიდუალურ ნაერთებად თვლიდნენ). მაგრამ ამასთან ერთად იმასაც აღნიშნავს, რომ წყლის დიდი რაოდენობის შემცველობის გამო ("წყლობა არს მრავლად შერეულ ამას შინა"),

"სპირტი" სიძლიერით "არეასპის ზეთს" ჩამორჩება -(ესე არს უსუსტეს)". გილაროუსკის, "გოგირდის სპირტთან" დაკავშირებით, როგორც ეს §98-ის კომენტარშიც ვაჩვენეთ, ერთი წინადადებით მხოლოდ ის ფაქტი მოყვასკროდ გოგირდმჟავის მიღება გოგირდიდანაც შეიძლება. ქართული ტექსტის წყარო რომელიღაც ქიმიურ-ფარმაცევტული თხზულება უნდა იყოს. ან შესაძლოა, ის აფთიაქში გამოყენებული წესის უშუალო ჩანაწერს წარმოადგენდეს

§ 114. ტუტე მეტალების კარბონატებსა და ჰიდროქსიდებს, ანუ იმდროინდელი ტერმინოლოგიით ალკალებს (არაბულად ალკალი ტუტე ნივთიერებებია) მარილების განსაკუთრებულ გვარობად მიიჩნეოდნენ. სხვა ნივთიერებებსაგან მათ განასახვავებდნენ სწორედ პარაგრაფის თავსა და ბოლოში ჩამოთვლილი "საზოგადო თვისებებით": მწვანე ("ცხარი") გემოთი, ძლიერ ცეცხლში დნობადობით, მჟავებთან რეაგირებისას ერთდროულად მჟავისა ("სიმჟავე") და ტუტის ("ალკალიობა") შემცველი "საშუალი მარილის" წარმოქმნით, წყალხსნარში იის ექსტრაქტის ("მარბათის") დამატებისას მწვანე შეფერილობის მიღებით, ცხიმებთან და სილასთან ურთიერთქმედებით, შესაბამისად საპნებისა და მინის წარმოქმნით.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 50-იან წლებში ჯგულებმა (1728-1799) დაადგინა განსხვავება მწვანე და კარბონატულ ტუტეებს, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ ტუტე მარილებს შორის, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ქიმიკოსებს მათი მკვეთრი გამოიჯნა მაინც არ მოუხდენიათ. ამგვარი მიდგომა ჩანს თუნდაც "საზოგადო თვისებების" ჩამონათვალიდანაც. აქ "ცხარი" გემო უფრო ტუტეებისათვის, ხოლო მჟავებთან "აღრუხნუხება" კი, მხოლოდ კარბონატებისათვის არის დამახასიათებელი მგვრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმძღვანელოს სხვა პარაგრაფებში კონკრეტულად განხილული არააქროლადი ალკალებითთვის უკლებლივ, მხოლოდ კარბონატული ტუტეებით არიან წარმოდგენილი (გამონაკლისს შეადგენს § 127, რომელშიც კალიუმის ტუტე მოიხსენება საპნის "ცხარი ტუტას" სახელწოდებით).

XVIII საუკუნიდან ქიმიკოსები უკვე ერთმანეთისგან განასხვავებდნენ არააქროლად (ანუ ფიქსირებულ) და აქროლად ტუტეებს. დადგენილი იყო აგრეთვე განსხვავება მცენარეულ (Alkali fixum vegetable აოტაში) და მინერალურ (Alkali fixum minerale სოდა) ტუტეებს შორის (II, გე12), ეს ვითარება სათანადოდ არის ასახული პარაგრაფის ტექსტშიც.

აქროლად ტუტეებს აქ "მფრინვალე ანუ აღქრობადი ალკალი" ეწოდება, ხოლო ფიქსირებულ ტუტეებს "მტკიცე ალკალიური მარილი" (ისევე როგორც

იმდროინდელ ქვიზურ ლიტერატურაში დამატაციონიკ ზან ფორმა "ალკალს" ხმარობს და ზან "ალკალურ მარილს". ფიქსირებული ("მტკიცე" ანუ "ფისკუსი", ეი FIXUM) ალკალი, ტექსტის თანახმად, თავის მხრივ "განყოფის" ბუნებრივ და ხელოვნურ ალკალებად. აქედან პირველი, რომელიც მინერალურ ("მადნისად") ალკალად არის სახელდებული, სოდას ეი *Na₂CO₃* წარმოადგენს. სოდა უბეველესი დროიდან მიიღებოდა ძირითადად ბუნებრივი სოდის ტბებიდან და ამან განაპირობა მის სახელწოდებაში მინერალური წარმომავლობის მოხსენიება რაც შეეხება მეორე ხელოვნურ ალკალს, რომელიც აქ სახელწოდების გარეშე არის მოხსენიებული (როგორც ქართული, ისე ლათინური სახელწოდებები § 115-შია მოყვანილი), ის პოტაშს (*K₂CO₃*) წარმოადგენს "ტუტა ნაცრისა", რომლისგანაც "შოიპოვენი" პოტაშს, ნაცრის წყლით გამოტუტვის შედეგად მიღებული თუთიაა. ამ უკანასკნელის დუღებით ამოშრობისა და დარჩენილი მყარი ნალექის გამოწვის შედეგად მიიღება მინარეცების შემცველი ნედლი პოტაში, რომელიც ქართულ სახელმძღვანელოში სხვადასხვა სახელწოდებებით მოიხსენიება ("ტუტის მარილი", "ნაცარტუტის მარილი", "კალა მარილი", "ნაცრის მარილი", "პატაში", "კალატაში"). ნედლი მასალის შემდგომი გადამუშავებით მიიღება სუფთა პოტაში, რაც მომდევნო პარაგრაფში (§ 115) არის აღწერილი

აქვე უნდა აღინიშნოს პარაგრაფის სათაურში ქართული და ლათინური ტერმინების ერთგვარი შეუთანხმებლობა "ტუტის მარილი" ცალსახად პოტაშს გულისხმობს, მაშინ როდესაც "ალკალი მინერალი" ასევე ცალსახად სოდას აღნიშნავს

ამ პარაგრაფით მთავრდება იმ პარაგრაფების ერთი წყება (§§ 97-99, 105, 110-111, 114), რომლებიც ძირითადად გილაროუსის მასალების საფუძველზე არიან შედგენილნი აღნიშნულ პარაგრაფებს შეიძლება მივათვალოთ კიდევ ოთხი პარაგრაფი (§§ 95, 101, 104, 106), რომლებშიც ნაწილობრივ არის გამოყენებული იგივე წყაროს მონაცემები რაც შეეხება § 114-ის მომდევნო პარაგრაფებს დამატაციონი აქ უკვე სხვა, ჩვენთვის უცნობი წყაროებით ხელმძღვანელობს, თუმცა საკითხების თანამიმდევრობა ისევ გილაროუსის სქემის მიხედვით არის გადმოცემული

§ 115. წინა პარაგრაფის დამატებად შემოტანილ ამ პარაგრაფში აღწერილია ალკალების მედიცინაში გამოსაყენებელი პრეპარატული ფორმით დამზადების წესები "გარდახალსებს" აქ დამატაციონი ხმარობს როგორც გაწმენდის, ისე გადამუშავების მნიშვნელობით. შესაბამისად პირველი წესი პოტაშის გაწმენდას, ხოლო მეორე-გარდაქმნას ეძღვნება.

გაწმენდის წესი ნედლი პოტაშის ("ნაცარტუტის მარილის") წყლით გამოტუტებას, ხსნარის ფილტრაციას და ღულებით ფილტრატის ამოშრობას ითვალისწინებს გამოხდილი წყლისა და ქაღალდის ფილტრის გამოყენება, გამოტუტვის პროცესის დაბალ ტემპერატურაზე ჩატარება (მინარეების ხსნადობის შესამცირებლად) და პიგროსკოპული პროდუქტის "თავდაცმულ" კურჭულში შენახვა (განთხვეის თავიდან ასაცილებლად, ანუ როგორც ტექსტშია აღნიშნული "რათა არ დანესტიანდეს") ყოველივე ეს უზრუნველყოფდა საკმაოდ მაღალი სისუფთავის პოტაშის ("გარდახალისებული კალა მარილის" მიღებას)

მეორე, ანუ ნედლი პოტაშის გადაშუშვების წესით საბოლოო პროდუქტად ხელოვნური სოდა ("ალკალი მინერალი") მიიღება. პოტაშისა და სუფრის მარილის წყალხსნარის გაცხელებისას ადგილი აქვს - მიმოცულის რეაქციას ($K_2CO_3 + 2NaCl \rightarrow Na_2CO_3 + 2KCl$). ღულების პირველი სტადია ხსნარის იმ კონცენტრაციამდე დაყენას ითვალისწინებს, რომლიდანაც შეიძლება კალიუმის ქლორიდმა ("სალ დილისტუშ") დაიწყოს გამოკრისტალება. ამ უკანასკნელის სრული გამოყოფის მიზნით, მეორე სტადიაზე ხსნარს აციკებენ და რამდენიმე ხნით აყოფენებენ. თანაური პროდუქტის გამოყოფის შემდგომ მესამე სტადიაზე თუთიას ("ტუტა") კვლავ ადულებენ, ესლა უკვე სოდის ხსნარის კონცენტრირების მიზნით. კონცენტრირებული ხსნარის გაცივების, ფილტრაციის და დყოვნების შედეგად უკვე ძირითადი პროდუქტი სოდა ("სალ ალკალი მინერალი") გამოკრისტალდება. საბოლოო სახით ეს პროდუქტი "რამდენჯერმე გადახალისების" შემდეგ მიიღება. ამ შემთხვევაში "გარდახალისება" ახლა უკვე "გაწმენდის" მნიშვნელობით არის ნახმარი და იმავე თანამიმდევრული ოპერაციების ჩატარებას გულისხმობს, რაც პირველ წესში პოტაშთან დაკავშირებით იყო ჩამოთვლილი. სუფრის მარილისა და პოტაშის ურთიერთმოქმედებით სოდის მიღების წესი დ. ბაგრატიონს "სამკურნალო რეცეპტებშიც" აქვს მოხსენებული (4ფ. 73). ეს წესი ტბერგანმა (1725-1783) შეიმუშავა XVIII ს მე-2 ნახევარში და რამდენიმე წლის განმავლობაში მას, აფთიაქებს გარდა, წარმოებაშიც იყენებდნენ (15გვ196). ასევე რამდენიმე ხნის განმავლობაში (XIX ს დასაწყისამდე) ხელოვნურმა პროდუქტმა შეინარჩუნა ბუნებრივი სოდიდან გადმოყოფილი სახელწოდება "სალ ალკალი მინერალი", ხოლო მოგვიანებით სახელწოდება "სოდა" დაიმკვიდრა

§ 16. ჰარაგრაფში აღწერილია კალიუმის აცეტატის (CH_3COOK) "ფურცლის მსგავსი ძხრიკი პატაში" მიღება პოტაშისა და ძმარმჟავის ურთიერთქმედებით ($2CH_3COOH + K_2CO_3 \rightarrow 2CH_3COOK + H_2O + CO_2$). პოტაშს ("პატაში"; "ნაცრის

მარილი" ან "კალაქის მარილი") ხსნიან "ცხარ ძმარში", რომელიც ძმარმეყვის გზარდოლ კონცენტრაციას შეიცავს და ხსნარს "ნელ ცეცხლზე" ადუღებენ სითხის ამოშრობამდე; შემდეგ თანდათან ("წერილ-წერილად") კვლავ უმატებენ ძმარს და ხსნარის ამორობიქლას განაგრძობენ მის შესქელებამდე. მიღებულ პროდუქტს თხევად ფაზას აცილებენ და მისი შემდგომი გადამუშავება, როგორც ეტყობა გაწმენდასა და მკურნალობისათვის უფრო გამოსადეგ ფუნქციონირებ მდგომარეობის მიღებას ითვალისწინებს

აცეტატის ქართული სახელწოდება "ფურცლისა მსგავსი ძმარიერი პატაში" საკმაოდ ზუსტად გამოხატავს ობიექტისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს ჩვეულებრივ ეს ნაერთი ხსნარიდან ფურცლოვანი ნალექის სახით გამოიყოფა, ხოლო როგორც საშუალო მარილი ის "შეიცავს" პოტაშსა და ძმარის მყავს და მაშასადამე "ძმარიერი პატაშს" წარმოადგენს

იმდროინდელ ქიმიურ სახელმძღვანელოებში, კერძოდ კი, ერკსლებენის ცნობილ სახელმძღვანელოში, დაწერილებით არის აღწერილი კალიუმის აცეტატის მიღების წესი (14, გვ 132), მაგრამ ქართულ ტექსტში, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც, გაცილებით მეტი ინფორმაცია არის მოყვანილი სხვადასხვა დეტალებისა და დამატებითი ოპერაციების სახით. ეს კი კვლავ იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ქართული ტექსტი შემოთავაზებული წესის პრაქტიკული განხორციელებისათვის არის გამზინული და ის უთუოდ საფთოაქო ინსტრუქციების, ან ზეპირი გადმოცემის მიხედვით არის შედგენილი

§ 117. ღვინის ქვამ და მისი გადამუშავებით მიღებულამ პროდუქტებამა უკერ კიდევ იატროქიმიკოსების პერიოდიდან მიიჭრო განსაკუთრებული ყურადღება ღვინის ქვა წარმოადგენს ღვინის დუღილის პროცესში ჭურჭლის კედლებზე გამოყოფილ გამონალექს ("ხაშურს"), რომელიც ძირითადად კალიუმის მტავე ტარტრატს ($KHC_4H_4O_6$) შეიცავს სხვადასხვა მინარევებთან ერთად. პარაგრაფში აღწერილია ამ ნაერთიდან კალიუმის ნეიტრალური ტარტრატის ($K_2C_4H_4O_6$) მიღება, რომელიც როგორც ტექსტის ბოლო ნაწილიდან ჩანს, საკმაოდ ეფექტურ სამკურნალო საშუალებად იყო მიჩნეული პოტაშის წყალხსნარში ღვინის ქვის ("ღვინის მარილის") გაუკრებადმე დამატებისას (რაც ხსნარის შიშინის შეწყვეტით ფუქორდება), ადგილი აქვს შემდეგ რეაქციას $2KHC_4H_4O_6 + K_2CO_3 \rightarrow 2K_2C_4H_4O_6 + H_2O + CO_2$ ხსნარს დუღებისას წყალი ორთქლდება და მყარი მასის სახით მიიღება კალიუმის ნეიტრალური ტარტრატი ეს უკანასკნელი მტავე ტარტრატთან შედარებით, გაცილებით უკეთ იხსნება წყალში და როგორც ეტყობა მისი ქართული

სახელწოდებას ("ხაშური ღვინის გამარილებული") დამგრატონს ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა ქჭონდეს შემოღებულად

§ 118. "კრემორ თართარი" სამოგალოდ გაწმენდილ ღვინის ქვას ეწოდებოდა, პარავრაფებში კი, ღვინის ქვის გადამუშავების (და არა გაწმენდის) წესი არის აღწერილი (ამ შემთხვევაში უფრო ზუსტია ქართული სახელწოდება "ღვინის მარილი გარდახალისებული", ვინაიდან "გარდახალისება" აქ გადამუშავების, გარდაქმნის მნიშვნელობით არის გამოყენებული-იხ. §115-ის კომენტარი).

"ღვინის ხაშურთან" ანუ ღვინის ქვასთან ($KHC_4H_4O_6$) ერთად მოხსენებული "ზორა" თუ ბორაკს (Na_2CO_3) გულისხმობს, მათი წყალხსნარის ამოირთქვლისას მიღებული მყარი ნალექი კალიუმისა და ნატრიუმის ტარტრატს ანუ ეწ. "სვენტის მარილს" ($KNaC_4H_4O_6$) უნდა წარმოადგენდეს. ჩვეულებრივ ამ პრეპარატს აფთიაქებში ამზადებდნენ ღვინის ქვისა და სოდის ურთიერთქმედებით. არ არის გამორიცხული, რომ ქართული ტექსტის "ზორაც" სოდის მნიშვნელობით იყოს მოყვანილი, როგორც ამას ხშირად ქჭონდა ადგილი ადრეულ (XVII ს) ქიმიურ-ფარმაცევტულ პრაქტიკასა და ლიტერატურაში

§119. კალიუმის სულფატის ("არჯესპიანი პატაშის") დასამზადებლად ჯერ პოტაშზე გოგირდმეტყვას მოქმედებით მიიღება კალიუმის სულფატის წყალხსნარი, ($K_2CO_3 + H_2SO_4 \rightarrow K_2SO_4 + H_2O + CO_2$), ხოლო ამ უკანასკნელის აორთქლებისას-მყარი მარილი, რომელსაც საბოლოო პროდუქტის სახე გაცივებისა და დაწვრილმანების შემდეგ ეძლევა. ფარმაკიაში ფართოდ გავრცელებული ეს პრეპარატი ცნობილი იყო tartarus vitriolatus-ის სახელწოდებით, ვინაიდან მას თავდაპირველად ღვინის ქვის მარილიდან მიღებული სუფთა კალიუმის კარბონატის (იგივე "sal tartari"-ის) და გოგირდმეტყვას ("oleum vitriole") ურთი ერთქმედებით ამზადებდნენ. რადგან ქართულ ტექსტში ამოხვეულ ნივთიერებად პოტაში ფიგურირებს, საბოლოო პროდუქტის აღსანიშნავად დავით ბაგრატიონი ხმარობს სიტყვათშეთანხმებას "მარილი არჯესპიანი პატაშისა" (ეი მისეული წარმოდგენით საშუალო მარილი, რომელიც პოტაშსა და არჯესპის სიმეჯეს შეიცავს).

პარავრაფის ტექსტში მრავალწერტილით აღნიშნული გეაქვს გამოტოვებული, ავადმოყოფობის აღმნიშვნელი ოთხი სიტყვა, რომლის ამოკითხვაც ვერ მოხერხდა

§ 120. ამ და მომდევნო მარაგრაფებში (§§ 121, 122, 125) განხილულია სტიბიუმის ნერთები, რომლებსაც ჯერ კიდევ იატროქიმიკოსების პერიოდიდან, ფაროვლ იყენებდნენ სამკურნალო პრეპარატებად.

"სარწყვი ქვი" ("მარილი სარწყვი" - "თართარი ემეტკი") დასამზადებლად, რეკომენდებულია სტიბიუმის (III) ოქსიდის ("ანთიმონია შუმა შუმად გარდასალისებული" - ინ. § 22) და კალიუმის მეფე ტარტრატს - $KHC_4H_4O_6$ ("გარდასალისებული ღვინის მარილი") ნარევის წყალხსნარის ხანგრძლივი დღეუბა ხსნარის ამოშრობისას მიღებული მყარი ნალექი, წყლით ჩარეცხვის, გაშრობისა და გაფხვიერების შემდეგ, განთხევის თავიდან ასაცილებლად თავდასურულ ტურჭელში ინახება. "სარწყვი ქვი" ("სარწყვი მარილი"), რომელიც დღესაც გამოიყენება მედიცინაში (ზოგიერთი ინფექციური დაავადების სამკურნალოდ), ადრე ანთიმონილის რადიკალისა (SbO) და კალიუმის შერეულ ღვინისმეფის მარილად ($K(SbO)C_4H_4O_6 \cdot H_2O$) იყო მიჩნეული, უახლოესი მონაცემებით კი ის აქტასტიბომეფინისმეფის ($H_2C_4H_2O_6Sb(OH)_2$) კალიუმის მარილად ითვლება (მ. გე 723).

§ 121. "ანთიმონია ოფლის გამოძღვენილი" ანუ "ანთიმონია დიაფორეტიკუმი" წარმოადგენს კალიუმის სტიბიუმმეფას ($K_2O \cdot 2Sb_2O_3$), რომელიც მიიღება სტიბიუმის სულფიდის ანთიმონიტისა (Sb_2S_3) და გვარჯილის (KNO_3) ნარევის გახურებით, გამოშვარი მასის თბილი წყლით გამოტუტვით და გაცივებული თუთქიდან პროდუქტის გამოლექვით, რომელიც საბოლოო სახემდე დაყვანება მრავალჯერადი ჩარეცხვითა და გამოშრობით.

პროცესის სასურველი მიმართულებით წარმართვისათვის, ყურადღებას იქცევს ტექსტში ჩართული საკმაოდ მრავალრიცხოვანი მითითებები (ტექსტში კომპონენტების ულუფებად შეტანა, გამოწვის პროცესის ბოლომდე მიყვანა "როცა გამოეცალოს ძალი მარწყვიანებელი", პროდუქტის მრავალჯერადი "რეცხვა", "ვიდრემდის დაკარგოს გემო მარილობისა") და გაფრთხილებები (მინარეცხვის ბუხარში ჩაცვენის, გამოსაწვავი ნარევის შეკორპების თავიდან ასაცილებლად და სხვა).

)

§ 122. სტიბიუმის (III) სულფიდის ანთიმონიტის ("ანთიმონიის") გახურებისას ადგილი აქვს შემდეგ რეაქციას: $Sb_2S_3 + 5SO_2 = Sb_2O_3 + 3SO_2$ და უცნობი მორევა "შეკორების" თავიდან აცილებასთან ერთად, გამოსაწვავი ნივთიერებისათვის ჭარბი ჰაერის მიწოდებას უზრუნველყოფს. ასეთ გარემოში კი გამოწვის პროდუქტს

მდგრადი Sb_2O_4 და არა აქროლადი Sb_2O_3 წარმოადგენს გამოწვევის პროცესის დამთავრებისას, რაც NO_2 -ის გამოყოფის შეწყვეტით ფიქსირდება ("ოდეს კვამლი სრულიად არღარა აქინდეს"), Sb_2O_4 გადააქვთ ტიველში ("ზუთაში") და ძლიერ ცეცხლზე ასურებენ. მაღალ ტემპერატურაზე Sb_2O_4 იშლება Sb_2O_3 -ად, ეს უკანასკნელი კი გამძლეარ მდგომარეობაში გადადის ამ გადამდნარ მასას, მინასთან მსგავსების გამო ("შეიქმნების მსგავსად გვარჯილისა, თეთრი შუშად შექმნილი"), *Vitum antimonum* ეი "ანთიმონიის მინა" ეწოდებოდა, რომელიც რატომღაც პარაგრაფის სათაურში დამახინჯებული ფორმით არის წარმოდგენილი (ნიტრიუმ ანტიმონიუმ").

მიღებული პრეპარატი, პარაგრაფის ბოლოს დართული შენიშვნის მიხედვით, მედიცინაში შინაგანი ხმარებისთვის, დამოუკიდებლად ("თავით თვისით") არ გამოიყენებოდა, არამედ როგორც ერთ-ერთ კომპონენტს, $\text{N}^{\circ}120$ -ში აღწერილი "სარწყვეი ქვისა" და ეწ. "რულანდის ღვინის" დასამზადებლად იყენებდნენ (ამ უკანასკნელის დამზადების წესი, რომელიც იატროკიმიკოს მ. რულანდის (XVII ს) მიხედვით Sb_2O_3 -ის ფხვნილის ღვინოში ხანგრძლივ დაცვენას ითვალისწინებს, ღებგრატიონს აღწერილი აქვს თავის "სამკურნალო რეცეპტებში" - იხ. $\text{N}^{\circ}19$, გვ.10)).

$\text{N}^{\circ} 123$. პარაგრაფში წარმოდგენილია კალიუმის სულფატის მიღების მეორე წესი (პირველი იხ. $\text{N}^{\circ}119$ -ში), რომელიც ჭოტმეავის გამოხდის შემდეგ დარჩენილი მყარი მასის ("თუზაფის გამოხანხალი მიწა") გადამუშავებას ითვალისწინებს (ნარჩენიდან წყლით კალიუმის სულფატის 24 საათიან გამოტუტვას, ფილტრაციას, ფილტრატის დჟონენებას მინარეების გამოლეკვამდე, ნალექიდან ხსნარის გამოცალკეებას (როგორც ეტყობა დეკანტაციის გზით) და ბოლოს დაწმენილი ხსნარის დუღებას იმ კონსისტენციამდე, რომელიც ვაცივებისას ამ ხსნარის კრისტალებად სრულ გარდაქმნას უზრუნველყოფს).

"ცუდმად მიწასთან" ერთად მოხსენებული "მეტალი" აქ იმ მეტალის შემცველ ნერთებს (ძირითადად, ალბათ, სულფატებს) გულისხმობს, რომლებსაც, გვარჯილის აჯასებთან ერთად გამოხდის შემთხვევაში, "გამონახალი მიწა" შეიცავს (იხ. $\text{N}^{\circ} 99$). მზა პროდუქტი იმავე სამედიცინო დანიშნულებით იხმარება, რაც $\text{N}^{\circ}119$ -ის პრეპარატისათვის ("მარილი არჯასპანს პატაშისა") იყო მითითებული, მაგრამ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, მისი ქართული სახელწოდება ("გვარჯილა არჯასპისა") ზუსტად ვერ გადმოსცემს საშუალო მარილის შინაარსს, კინაღამ ის საწყისი ნივთიერებების (ეი გვარჯილისა და "არჯასპის ზეთის") და არა მისი შემცველი პოტაშისა და "არჯასპის ზეთის", მიხედვით არის შედგენილი.

§ 124. პარაგრაფში აღწერილია ღვინის ანუ "ღვინის ქეხი" მარილის მიღება ($H_2C_4H_4O_6$), რომელსაც, როგორც წყალში კარგად ხსნად ნაერთს, მარილების კლასს განაკუთვებდნენ. ბაგრატიონიც მას ღვინის მარილს უწოდებს მეორე სახელწოდება ("ლიმონის მარილად წოდებული") როგორც ჩანს, იმ გარემოებით უნდა იყოს განპირობებული, რომ, ორგანული მჟავების პირველადი მომწინი კ.შეელე (1742-1786) ღვინის მჟავას მიღებას ლიმონმჟავის ანალოგიით (კალციუმის მარილის შუალედური პროდუქტის მეშვეობით) ანზორციელებდა (15, გვ. 226).

პარაგრაფში აღწერილი წესის. თანახმად, პირველ სტადიაზე, კალიუმის მჟავე ტარტრატის ($KHC_4H_4O_6$) და კალციუმის კარბონატის (ნიჟარის ან "ნაცრად დაშვარი" სადაფის) ხსნარის დუღებისას წარმოიქმნება კალციუმის ტარტრატი ($2KHC_4H_4O_6 + 2CaCO_3 \rightarrow 2CaC_4H_4O_6 + K_2CO_3 + CO_2 + H_2O$), რომელიც ამოორთქვლით მიღებული კონცენტრირებული ხსნარიდან გაცივებას შემდეგ "თეთრი მტკერის" სახით გამოილეკება - თან ერთად (ორივე კომპონენტის გამოლეკებაზე მიუთითებს ფრ.ზა "მარილი იგი და სადაფი"). მყარი ნალექი, თხევადი ფაზის მოცილების შემდეგ, გულმოდგინედ ირეცება "ვიდრე დაკარგოს ვემსი მარილისაი": გულმოდგინე ჩარეცხვის აუცილებლობა უთუოდ ემპირიული გზით შესენილი გამოცდილებით იყო ნაკარნახევი (როგორც მოგვიანებით გაირკვა, არასაკმარისი ჩარეცხვის შედეგად, ნალექში ჩარჩენილი კალიუმის მარილის უმნიშვნელო რაოდენობაც კი, ბოლო სტადიაზე საგრძნობლად აფერხებს ღვინის მჟავის გამოკრისტალებას (12, გვ. 178/

მეორე სტადიაზე გაქმენილი ნალექის განზავებულ გოგირდმჟავაში დუღებისას, კალციუმის ტარტრატიდან მიღება ღვინისმჟავე ($CaC_4H_4O_6 + H_2SO_4 \rightarrow H_2C_4H_4O_6 + CaSO_4$) გაცივებისას ხსნარიდან კალციუმის სულფატის ნალექი გამოიყოფა. გაფილტვრის შემდეგ ხსნარს ("გარდაწურვილი წყალი") ნალექს "სარეცხ წყალთან ერთად" ხელშეორედ აღულებენ გამოკრისტალების დაწყებამდე ("ვიდრეკმდე ზე გამოინდეს გეარჯილის მსგავსი მარილი"). "ცივს ადგილას" ოთხდღიანი დეკონტინებას შემდეგ, ხსნარში დარჩენილი კალციუმის სულფატი და სხვა მინარეკები გამოილეკებაან "ნაცრის მსგავსი მარილის" (ეი პოტაშის მსგავსი მარილის) სახით. გაფილტვრით ამ ნალექსაც აცილებენ და ფილტრატს შესქელებამდე აღულებენ. ხსნარის კვლავ ცივ ადგილას მოთახებისას, ჭურჭლის ფსკერსა და გვერდებზე გამოიყოფა საბოლოო პროდუქტის - ღვინისმჟავის კრისტალეტი. ხსნარს განმეორებითი დუღებით შეიძლება პროდუქტის დამატებითი რაოდენობის მიღება. ("კვალად მოიხთვლებ მარილსა").

პარაგრაფის ბოლოს ღვინის მჟავის სამედიცინო დანიშნულებას მითითებ.ასთან ერთად, დბაგრატიონი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მას "შარბათად

მიორთმევენენ" შარბათში" უთუოდ ლიმონათი იგულისხმება, რომლის წარმოებაშიც იმ დროს, ლიმონმჟავასთან ერთად ლეონიმჟავასაც იყენებდნენ (15, გვ. 226).

§ 125. მინერალური კერმესი ("წითელი მინერალის მარილი" ანუ "კერმის მინერალი"), რომელიც ანთიმონიტის (Sb_2S_3) წითელი ფერის ნაირსახეობას წარმოადგენს ($KSbO_3$ და K_2S მინარევებით), XIX ს. ბოლომდე კი გამოიყენებოდა სამკურნალო საშუალებად (17, გვ. 45).

ამ პრეპარატის დასამზადებლად რეკომენდებულია პოტაშის წყალხსნარში ანთიმონიტის 15 წუთიანი დუღილი, ხსნარის ფილტრაცია და რამდენიმე ხნით დაყოვნება, რის შემდეგ გამოიყოფა "წაბლისფერი მარილი": ამ მარილის გულმოდგინე გარეცხვის შემდგომ ("რეცხე წყლით, ვიდრე გემოი არღარაი ქქონდეს თვინიერ წყლისა") უკვე შეიძლება მზა პროდუქტის მელიცინაში გამოყენება დანიშნულებისამებრ.

§ 126. ვერცხლისწყლის (II) ოქსიდის ("წითელი სინდიკი დალკაილი") მიღების აქ გადმოცემული წესი ორი სტადიისაგან შედგება პირველი სტადია ითვალისწინებს ვერცხლისწყლის ჰოტმეივაში გახსნას ($3Hg + 8HNO_3 \rightarrow 3Hg(NO_3)_2 + 2NO + 4H_2O$) და ხსნარის ამოორთქლას მყარი ნაშთის $Hg(NO_3)_2$ მიღებამდე. მეორე სტადიაზე კი ტიველში ("ზუთაში") მარილის თერმული დაშლით წარმოიქმნება საბოლოო პროდუქტი ($2Hg(NO_3)_2 \rightarrow 2HgCl + 4NO_2 + O_2$).

ვერცხლისწყლის სხვა ნაერთებიდან (§§ 110-112) ამ ნოთიერების განცალკევებით განხილვა, საკითხების გადმოცემის იმ თანამიმდევრობის დაცვით არის განპირობებული, რომელიც დაბგრატიონმა გილაროვსკის სახელმძღვანელოდან გადმოიღო. ეს უკანასკნელი სუბლიმაციის ოპერაციას და ამ ოპერაციით მიღებულ პროდუქტებს (სულემის, სინეურს და კალიმელს) განყოფილებს საწყის ნაწილში, ხოლო კალციინაციის ოპერაციას, რომლის პროდუქტადაც წარმოდგენილია წითელი ვერცხლისწყლის ოქსიდით. ბოლო ნაწილში განიხილავს, ასეთივე თანამიმდევრობა დაცულია ქართულ ტექსტშიც, მხოლოდ სრულიად ახალი შინაარსის პარაგრაფის წარმოდგენით. რუსული წყაროს ტექსტში ვერცხლისწყლის ამ პრეპარატის მიღება მხოლოდ ერთი წინადადებითაა გადმოცემული: "Селитряный спирт превращает ртуть в красную известь, которая при низ вержении называется красным низвергом" (3, გვ. 355), საიდანაც ჩანს რომ გილაროვსკი, რომელიც კალციინაციას ანუ "ქირად გარდაქმნის" ოპერაციის მთავარ

ღამასათებელ ნიშან-თვისებად ნიუთონების ფხვიერ მდგომარეობაში გადასვლას თულის (ის.წ 95-ის კომენტარი), ამ შემთხვევაშიც HgO -ს წარმოქმნას, "სველი კალცინაციის" ოპერაციას უკავშირებს

წ 127. პარაგრაფში აღწერილია წვრილდისპერსული და ამორფული გოგირდის ("გოგირდის რძის") მიღება ამოსავალ ნიუთონებად გამოყენებულია სუფთა ("წმინდა") გოგირდი და "ცხარი ტუტა საპნისა", ეი კალიუმის ტუტის წყალხსნარი (მისი მიღება ღმადგრატიონის აღწერილი აქვს "სამკურნალო რეცეპტებში"-ის. 4, ფ.145r). მათი ერთობლივი ღულებას, კიდრე გოგირდი არ "გადნება" და ხსნარი "მოწითანო" ფერს არ მიიღებს, წარმოიქმნება კალიუმის პოლისულფიდი (K_2S_n - სადაც n ცვალებადობს 2-დან 5-მდე), კალიუმის თიოსულფატს მინარევით ($6KOH + (n+2)S \rightarrow 2K_2S_n + K_2S_2O_3 + 3H_2O$). "გოგირდას ღვიძილას" სახელწოდებით ცნობილი ეს შუალედური პროდუქტი იფილტრება, ხილო ფილტრატი ("განაწერი") რამდენიმე დღით დაფოენების შემდეგ "დაილეკს მწითლისა მიწისა მსგავსა მარილისასა" (როგორც ეტყობა პოლისულფიდების პიერის ფანგადთან ურთიერთქმედების რაღაც პროდუქტს, რომლის შესახებ რაიმე ცნობებს სხვა წყაროებში ვერ მივაკვლიეთ).

ამ ნალექიდან ხსნარს აცილებენ დეკანტაციით ("გარდასხნი - ნელიადრათა არ აღიმდერეს") და მას თანდათან ("წერილათ და წერილად") სითხის შემსუკრევის შემწყვეტამდე უმატებენ წინასწარ განზავებულ გოგირდმუყავს გოგირდმუყავს ზემოქმედების შედეგად პოლისულფიდები დაშლას განიცდიან გოგირდის გამოყოფით ($K_2S_n + H_2SO_4 \rightarrow K_2SO_4 + H_2S + (n-1)S$). ეს ამორფული და წვრილდისპერსული გოგირდი, რომელიც სუსპენდირებული სახით იმყოფება სითხეში, ამ უკანასკნელს რძის მსგავსს თეთრ ვერს ანიჭებს (ამ გარემოებამ განაპირობა სახელწოდებაც - "გოგირდის რძე").

პროცესის ბოლო სტადია გოგირდის თხევადი ფაზიდან გამოცალკეებას ითვალისწინებს. ამ მიზნით მღვრე ხსნარი წმინდა ქსოვილში ("მტკიცე სამოსელში გინა ტილოში") იფილტრება და "რაიცა სამოსელსა მიეკრას მსგავსი მიწისა", ეი გოგირდის ფხვნილი, ის საგულდაგულად ირეცხება "ვიდრემდის სრულად გაეცალოს გემო მარილობისა". გამოშრობის შემდეგ მზა პროდუქტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამკურნალო საშუალებად, საკმაოდ მრავალფეროვანი დანიშნულებით.

§ 128. პარაგრაფი ეძღვნება გამძლეარი ვერცხლის - ნიტრატის ("ჯოჯოხეთის ქენს") დამზადებისა და გამოყენების საკითხებს (ეს პრეტარატი ღლესაც გამოიყენება ყოფით, პრაქტიკაში "ლიაპისის" სახელწოდებით).

პრეტარატის მასალებად გათვალისწინებულია შემდეგი ოპერაციები: ვერცხლის ნიტრატის ხსნარის მოშადება ჭოტმეაგაში ვერცხლის ვახსნით, ხსნარის ღლდება სრულ ამოშრამდე; მიღებული მარილის ტიგელში ("ბუთაში") ვადნობა (რატროგორც ცნობილია, 270°-ზე ხორციელდება) და გამძნარი მასის ცილინდრულ ყალიბებში წამოსხმა (გაციებული ნაღობის ადვილად მოსაცილებლად ყალიბის ზედაბირი წინასწარ ზეთის თხელი ფენით იფარება).

ვინაიდან ვერცხლის ნიტრატი ადვილად ფანგავს ორგანულ ნაერთებს მისგან დამზადებულ: "ფანქრებს" ფართოდ იყენებენ მედიცინასა და კოსმეტიკაში, სხეულის სხვადასხვა ხორცმეტებს ან კრილობების მოსაწყავად ("ესე მოჭამს ხორცმეტსა, დასწყავს ხორცისა"). დაჟანგვის პროცესში თვით პრეტარატს წერილ დისპერსულ მეტალურ ვერცხლამდე აღდგენა კი, თავის შროვ განაპირობებდა კონტაქტს ადვილის გამაყვებას ანუ "ზევილს" დამწვევს" ("ზევილი"-მევი ნიშანი დ. ნუბინაშვილით) ამის გამო "ფანქრებს" ხალხის იმიტაციისათვისაც ხმარობდნენ.

ვილაროვის სახელმძღვანელოში ვერცხლის ნიტრატთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი წინადადებაა მოყვანილი თანაც, რატომღაც, ვადამძნარი პრეტარატის სასაქონლო სახელწოდება ("ჯოჯოხეთის ქვა") ხსნარიდან გამოკრისტალბულ მარილზე არაის გააბატონილი, რომელსაც ჩვეულებრივ "შოვარის კრისტალებს" უწოდებდნენ (იხ. 14, გე278-279).

§ 129. ვინაიდან წინა პარაგრაფებს უმეტესი ნაწილი სამკურნალო და კერძოდ, გარეგანი სმარებამათვის სჭირო პრეტარატების მიღებას ითვალისწინებს, დ. ბერატონის სჭიროდ მიუქმნევა მათი სამკურნალო ფორმაც განეხილა მღლაშობის სახით. მაღაშო, როგორც ცნობილია მოქმედ სამკურნალო ნივთიერებასთან ერთად შვიცავს ფუტეს რომლის ბლანტი, პლასტიკური კონსისტენცია აადვილებს კანში შეწოვას გზით პრეტარატის შეღწევას ორგანისში აღნიშნულ პარაგრაფში ასეთ ფუტედ რეკომენდებულია საპონი, ქონი, ცვილი და სავთიოდ ისეთი ნივთიერებები, რომლებიც აეტრობს სიტყვებით რომ ვთქვათ, "გაეგლაშებს".

დავითს სავებით სწორად აქვს გაშირებული ფუტის "მატრანსპორტირებელი" დანიშნულებას ის სავარგებოდ მუთლითებს, რომ გარეგანი სმარებისას, სხვადასხვა სამკურნალო ნივთიერებათა ("მცენარეთა" ანუ ზეთთა და ანუ მინერალთა

ნიეთა“) ორგანიზმზე ზემოქმედება სწორედ ფუძის მეშვეობით ხორციელდება (“ამის მიერ აქეთ მათ თვისება “განთვისებული”).

§ 130. ეს პარაგრაფი, თუმცა არასამედიცინო დანიშნულების, მაგრამ ყოფითი პრაქტიკისათვის უაღრესად საჭირო პროდუქტის მიღებას ეძღვნება. მიუხედავად იმისა, რომ ვერ კიდევ ერეკლე მეფის დროიდან, თბილისში თოფის წამლის ქარხანა ფუნქციონირებდა, ინდივიდუალურად თოფის წამლის დამზადებას საყოველთაო ხასიათი ქონდა. სწორედ ამ ინდივიდუალური დამამზადებლების ინტერესების გათვალისწინებით, დბაგრატიონს დამატებით აქვს შემოტანილი ეს პარაგრაფი, რომელიც სხვა პარაგრაფების მსგავსად, საჭირო პროდუქტის დამოუკიდებლად მიღებისათვის სახელმძღვანელო ინსტრუქციას წარმოადგენს

ვინაიდან, თოფის წამლის წესები საყოველთაოდ იყო ცნობილი, შემოთავაზებულ რეცეპტს ავტორი აღარ ტვირთავს დეტალებით; მხოლოდ ყურადღებას ამახვილებს მთელ რიგ სასახლეებზე, რომელთა საშუალებითაც ტრადიციულად გამოყენებულ წესში შეიძლება გაუმჯობესების შეტანა (მაგ: კომპონენტების შეფარდება, ნახშირისათვის ამოსავალ ნედლეულად ხის ადგილობრივი ვიშების გათვალისწინება, ნარევის არყით დანამება და სხვ) ამასთან ერთად, დბაგრატიონი საჭიროდ თვლის, მკითხველს ზოგადი ცნობა მიაწოდოს თოფის წამლის ფეთქებადობის მიზეზთან დაკავშირებით (“ეს ამაღ აღფრინდების, ვინათგან გვარჯილასა შიგა შეცულ არს მრავლად ჰაერი“), ხოლო უფრო დაინტერესებულთ, დეტალებს გასაცნობად, თავისივე სახელმძღვანელოს წინა ნაწილზე მიუთითებს (“ვითა ზემო გარადამომიცხეს“), სადაც § 21-ში, ექსპერიმენტალურად დადგენილ რაოდენობრივ მონაცემებთან ერთად, განხილულია “ფიქსირებული ჰაერის“ შემცველობის საკითხი სხვადასხვა ქიმიურ ნერთში (მათ შორის გვარჯილაშიც).

§ 130'. ეს კრებითი პარაგრაფი ქართულ წერილობით წყაროებში მეტალებს ისტემური განხილვის, ფაქტობრივად პირველ სერიოზულ ცდას წარმოადგენს აქ წარმოდგენილია მეტალების ყველა ის ძირითადი თვისებები, რომლითაც ისინი სხვა ნივთიერებებთან განსაკუთრებით გამოირჩევიან (ჭედადობა, კუთრი წონა, მეტალური ბზინვა, დნობადობა, ბრტყობადობა, სიმტკიცე და გახურებისას ზენჯის წარმოქმნის უნარი). მეტალური ბზინვა (“ბრწყინვალეობა“) და დიდი კუთრი წონა (“სიმძიმე“) იმ მთავარ მახასიათებლებად არის დასახელებული, რომლებსაც გადამწვევტი მნიშვნელობა ენიჭებათ მეტალების ცალკე ვჯუფებად გამოყოფისას (კუთრ წონასთან

დაკავშირებით. ამ განცხადების სამართლიანობაში იმდროინდელი მეთხველი შეიძლება დარწმუნებულყო სახელმძღვანელოს § 51-ში მოყვანილი ნივთიერებათა კუთრი წონების ცხრილით, სადაც "სიმძიმით" სხვებისაგან აშკარად გამოჩნული მეტალები ჩამონათვალის საწყის ნაწილში არიან წარმოდგენილი იხ. სკეშმ).

მეტალების ორ კატეგორიად ("სრულ" და "არასრულ" მეტალებად) დაყოფის კრიტერიუმად მათი ჭედალობა და ბრტყობა არის აღებული სრული მეტალები ტექსტის თანახმად "არ დაიფხვნიან" და რაც მთავარია "განიკვრებიან და განიმტკიცებიან" (ეი გამოჭედვას და გაბრტყობას ექვემდებარებიან. სიტყვა "განიმტკიცების" აქ რომ "გაბრტყობის" (расплющивание) მნიშვნელობით იხმარება ეს ცალსახად ჩანს § 12-დან, სადაც ამ სიტყვით ოქროს უთხელეს საყარყე ფურცლებად გაბრტყელების შესაძლებლობა იგულისხმება - იხ. სკეშ50). რაც შეეხება კერცხლისწყალს, უბედესი დროიდან ტრადიციული შვიდი მეტალის წარმომადგენელს, ვინაიდან ჭედალობის თვალსაზრისით ეს თხევადი ნივთიერება ტიპურ მეტალად ვერ ჩაითვლება, დაბგრატიონი მას ფაქტობრივად კატეგორიის გარეშე სტოვებს

ტექსტში მოყვანილია მეტალების მეორეაირი დაყოფაც, რომელსაც ამკერად ქიმიური ხასიათის კრიტერიუმები უდევს საფუძვლად. მათი კეთილშობილად ("მანურად, ესე იგი უკეთილესად და უმაღლესად") და არაკეთილშობილად ("გლეხად, მდაბიოდ") დაჯგუფება ცეცხლის (ეი დაჟანგვის მიმართ) მდგრადობის მიხედვით არის განხორციელებული გამოწვისას "რაკეთილშობილად" მეტალები "იქს" ("ნაკარს", "ხენებს" ეი ოქსიდს) წარმოქმნან, მაშინ როდესაც "კეთილშობილი" პლატინა, ოქრო და კერცხლი ცელილებას არ განიცდიან. გახურებისას მეტალების გამოსხივების ("განწითლების" და "განლაპლაპების") მოვლენა მათ დნობადობასთან ურთიერთკავშირში არის განხილული (ამ ფრაგმენტის წყაროდ დაბგრატიონი გილაროვსკის იყნებს იხ. 3 გეპ51). აღნიშნული კრიტერიუმებიდან გამომდინარე მეტალების მწკრივი დნობადობის დადამავალი რიგით შეიძლება ასე წარმოვადგინოთ $(Fe \approx Cu) > (Al \approx Ag) > (Pb \approx Sn)$.

მეტალების განსხვავებული სიმტკიცე ("სიმგრე", "სიმტკიცე") ახსნილია მათი შუბცეკლი ნაწილაკების ("კოპარათა") ერთმანეთთან სხვა და სხვა შეჭიდულებით ("განესხვავებიან მტკიცითა მოკიდებულებითა კოპარათა"). ექსპერიმენტულად დადგენილი გაგლეჯვის სიმტკიცის მიხედვით (დადამავალი რიგით) მწკრივში მეტალები შეიძლება შემდეგი თანამდევრობით წარმოვადგინოთ $Fe > Al > Ag > Cu > Sn > Pb$.

ფიზიკური მახასიათებლების შემდეგომ ტექსტში ზოგიერთი ქიმიური საკითხიც არის განხილული მეტალები რომ სხვადასხვა ქიმიური ნერთის წარმოქმნაში იღებენ მონაწილეობას, ეს დაბგრატიონს ყოფითი პრაქტიკიდან ცულობე უფრო

გავრცელებული საღებავების მაგალითზე აქვს ნაჩვენები (სურიხვი, უმარილო, ეანგარო). აქვე ჩამოთვლილია მეტალების და მათი გამოწვით მიღებული ოქსიდებს ("ღამწვარნი ნაცრად") სხვადასხვა ნარევები, რომლებიც ამა თუ იმ ფერადი მინის საღებრებად გამოიყენებინან. მათ შორის მოხსენებულ კობალტთან დაკავშირებით დამგრატიონი სიმპატიური მელნის საკითხსაც ეხება და საკმაოდ დაწერილებით აღწერს მისი მიღების წესს (ეს წესი ჰოტმეაგაში ამ "უსრული" მეტალის გახსნით კობალტის ნიტრატის მიღებას ითვალისწინებს, რომელსაც ემატება სუფრის მარჯოს მცირე რაოდენობა).

სიმპატიურ მელანს ჩვეულებრივ ყველა იმდროინდელი ქიმიური სახელმძღვანელო განიხილავდა და მათ შორის ერკსლებენის "ქიმიაც", რომელშიც სხვათა შორის მისი მიღების ზუსტად იგივე წესია აღწერილი, რაც ქართულ სახელმძღვანელოში (14, გვ.382-383).

მეტალებისადმი მიძღვნილი პარაგრაფით მთავრდება "შემოკლებული ფიციკის" მეხამე ქიმიური პლასტი და მომდევნო პარაგრაფებში (§§ 13450) ერთმანეთის შენაცვლებით ძირითადად ფიციკს, ასტრონომიის, ფიზიოლოგიის და გეოგრაფიის საკითხებია განხილული

§ 94. დამატებით სახით მოყვანილი ეს პარაგრაფი "მიწის", ეი ქანებისა და ნიადაგის ქიმიის საკითხებს ეძღვნება (ამავე ტერმინს დამგრატიონი ზოგიერთი ქიმიური ნაერთის, ძირითადად კი ოქსიდებს აღსანიშნავადაც იყენებს). ქართველი ავტორის დამოუკიდებელი შემოქმედებითი სულწერის სრული წარმოჩენის მიზნით, აქ მიზანშეწონილია წინასწარ შევხვთა გილაროვსკის "ანალიოიურ" მონაცემებსაც. ეს უკანასკნელი "მიწას" ამავე სახელწოდებით დამათაურებულ VI განყოფილების პირველ ორ პარაგრაფში (§§ 425-426) განიხილავს გილაროვსკი დამატებულ თვლის არისტოტელესეული მიწა-სტიქიონის აღსებობას, რომელიც თავის ბუნებრივ მდგომარეობაში ეწ. "წმინდა მიწის" სახით იტყუება "წმინდა მიწა" მიიღება სუფთა თივლისაგან (სხვა მზამრებებით შეგმიწის ან მქვარტლისაგან). თავისი ბუნებით ის მყარი და ძვირად ფუნჯადა მას არ გაანინა სუნი და გემო, წყალში, ზეთებში და ღვინის ხბრტში არ იხსნება, ცეცხლში გამოირჩევა დიდი მდგრადობით და მხოლოდ ძალზე მაღალ ტემპერატურაზე გარდაიქმნება მინად (იგულისხმება გამლუგარი მახის მიწისმაგვარი მდგომარეობა). ამ "წმინდა მიწას" ყოველი მყარი სხეული შეიცავს მათ შორის მეტალებიც, რომელთა დაწვით მინების წარმოქმნა უშუალოდ დასტურებს მათ შემადგენლობაში მიწის

შემცველობას (ე.წ. „სტილის“ თეორიის თანახმად გახურების შედეგად მეტალებიდან, როგორც ფლოიდსტონისა და „შიწის“ (ოქსიდების) შემცველი რთული ნაერთებიდან, ფლოიდსტონი გამოიყოფოდა და რჩებოდა მარტივი ნივთიერება „შიწის“ ან „შინის“ (ე.წ. ოქსიდის ან გამლღვარი ოქსიდის სახით).

ქართულ ტექსტში „შიწის“ საკითხი სრულად განსხვავებული მიდგომით არის განხილული მიწათმშენებლობისა და „წმინდა მიწის“ ნაცულად აქ უკვე რეალური „შიწები“ ფიგურირებენ ერთის მხრივ ქანებისა და ნიადაგის, ხოლო მეორე მხრივ ოქსიდების სახით.

ტექსტის თანახმად „შიწის“ (ოქსიდების) კლასს განეკუთვნება შემდეგი „მარტივი მიწები“: „ფიქიერი“ (SiO_2), „თიხიერი“ (Al_2O_3), „კირიერი“ (CaO), და „საწიერი“ ანუ „ტალკის“ (MgO). ლაუზიხის ახალი ქიმიური ნომენკლატურის (1787 წ.) თანახმად (1867) ეს 4 „მიწა“: „მძიმე მიწათაჲ“ (Bas) ერთად მიწოვან მარტივ ნივთიერებებს ანუ ქიმიურ ელემენტებს წარმოადგენენ (დ. ბეგარტიონი რატობლაც არ ასახელებს „მძიმე მიწას“, თუმცა პარაგრაფის ბოლო ნაწილში მოიხსენიებს „შატს“ (მძიმე შატს ანუ ბერიტს), რომლისგანაც ეს მიწა მიიღებოდა). ამ ელემენტებისაგან შედგება ნიადაგი და ქანები („შავი“, „ჯობრალი“, „სილიერი“, „ჭეიშიერი“ ნიადაგები და „კლენიცა“). გარდა ამისა, ქანები შეიცავენ მარილებს, მეტალებს, წყად ნივთიერებებს და წყალსაც კრისტალიზაციური წყლის („წყლიერობა“) სახით. ამ კრისტალიზაციური წყლის ფიქსირება შეუძლებელია („არა საცნაური იქნების“) ცეცხლის გარეშე და აქვე მარილის თერმული დაშლაგან მათგან მათი მთლიანი არის მოყვანილი, რომლის დროსაც ის ამ კრისტალიზაციურ წყალს გამოყოფს („განუტყვევებს“). ქანებისა და ნიადაგების სახეობებისათვის დამახასიათებელია განსხვავებული კუთრი წონები („სიმძიმე განსხვავებული“) და აქაც მაგალითად მოყვანილია „შატის“, ქვებისა და ნიადაგის მიწის კუთრი წონების რიცხვითი მნიშვნელობები.

ისევე როგორც ვილაროუსკო, დამატებითაც მიიჩნევს რომ „მიწა“ ცხოველური ორგანიზმების შემადგენლობაში შედის, მაგრამ არა ნატურფილოსოფიური „წმინდა მიწის“, არამედ ქიმიური ანალიზებით დადგენილი (ქიმიასა შინა განსწრეკენ“) იმდროინდელი ქიმიური ელემენტ-ოქსიდების და რთული (ე.წ. დაშლადი) ოქსიდების სახით.

რუსული ანალოგისაგან სრულად განსხვავებული მინაწილს. ქართული პარაგრაფიდან ნათლად ჩანს საკითხებისადმი დამატაციონის დამოუკიდებელი შემოქმედებითი მიდგომა და საკმაოდ მაღალი მოშაღების დონე ერთადერთი

პრეტენზია, რაც შეიძლება ამ პარაგრაფს წაუყენოთ ის არის რომ, იგი უშუალოდ ქიმიური პლასტის შემადგენლობაში არ არის წარმოდგენილი (როგორც ეტყობა ამ შემთხვევაშიც დბგრატიონს ტექსტის საბოლოო რედაქტირება არ დასცალდა).

ლიტერატურა

1. ე. პარკაძე; დავით ბაგრატიონი და მისი "შემოკლებული ფიზიკა" თბ., 1954
2. Л. Л. Кутина; Формирование терминологии физики в России, м.л. 1966
3. П. Гиларовский, Руководство к физике, спб., 1793 г.
4. კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის II ფონდის ხელნაწერი H2370
5. ხელნაწერი H2368
6. Р.Р. Орбели, Грузинские рукописи института востоковедения АН СССР. М-л, 1956 г.
7. ს. იორდანაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგი თბ., 1948
8. ხელნაწერი S:3728
9. დრუბინაშვილი ქართულ-რუსული ლექსიკონი თბ., 1984.
10. Ф.Н. Савченков, История химии, спб., 1870
11. Н.А. Фигуровский, Очерк общей истории химии, м., 1969.
12. Р. Вагнер, Химическая технология, спб., 1892.
13. М.В. Ломоносов, Полное собрание сочинений, ч. I, м. л. 1950.
14. И.Х. Еркслебен, Начальные основания химии, спб., 1788.
15. Г. Фестер, История химической техники, Харьков, 1938.
16. Всесообщая история химии. Становление химии как науки. м; 1983.
17. М. Джуга, История химии, м., 1975.
18. Г. Реми, Курс неорганической химии, ч. I, м., 1963
19. ხელნაწერი Q 905.

ფასი 2 ლარი

შეკვეთა 333

ფირმაში 500

საწარმოო-სამეცნიერო ტექნიკური ტარაშობა " ბეკნივერბა "
 თბილისი, 380060, კუჭუბოვის 19.